# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 11 იანვარი, 2011 წელი.

№5 (6616)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.




ერის გამოღვიძებისა და ღვთისკენ შემობრუნების პროცესი ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბოროტი ადვილად არ თმობს პოზიციებს და ახალ-ახალ მოულოდნელობებს გვთავაზობს ② ③

უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე

## ილუზიები საახალწლოდ, თანაც უკურყველოდ... ⑦



ჩვენ ვხარჯავთ, ხელისუფლება ვკრეჯნის

## „სიძველისადმი გრძნობა, პატივი, თუ შენში ოდნავ მაინც ელვარებს“... ⑤

არაჩასაფრებული კაცის ფიქრები

ნაცუმრავლესობის წარმომადგენელთა „უდრეკი პოზიცია“ და ერთი რამ იმათ საყურადღებოდ, ვისაც დასავლეთის ზეწოლის მეშვეობით საარჩევნო გარემოს შეცვლის იმედი აქვს ⑥



## ④ ფრთხილად – ჩრდილოეთ კავკასიაა!

## აღდგენილი ისტორიული სამართლიანობა, ანუ კარგი ეროვნული საქმე, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს ⑨



ერის მეჭირნახულენი

## უახლოესი 25 წლის განმავლობაში რუსეთი, შესაძლოა, რამდენიმე სახელმწიფოდ დაიშალოს ⑧



ქრისტეს მიერ საყვარელნო ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო კეთილნო საქართველოისა და უცხოეთში მცხოვრებნო ჩვენო სულიერო შვილებო!

აი, უკვე 2011 წელია, გვესმის ანგელოზთა საოცარი საგალობელი: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება", რათა ჩვენც, იუდეის მწყემსთა და აღმოსავლელ მოგვთა მსგავსად, მივესახლოთ და თაყვანი ვსცეთ ბეთლემის ცივ გამოქვაბულში, ბაგასა შინა მწოლ უჩვეულო ყრმას და გავიხაროთ სიხარულითა დიდითა, რადგან ეს დღე არის საწყისი ცოდვის ბორკილთაგან ჩვენი გათავისუფლებისა და სულიერი თვალ-მარგალიტით გამშვენებისა, დღე იმ აღთქმის აღსრულებისა, რომელსაც ათასწლეულების მანძილზე ელოდა კაცთა მოდგმა, წინასწარმეტყველთა და მართალთა მთელი თაობები;

როგორი უბრალოებით წარუძღვა სოფელს შემოქმედი ცათა და ქვეყანისა, რათა გონებისთვის მიუწვდომელი თავმდაბლობითა და მსხვერპლშეწირული სიყვარულით განკაცების პირველი წუთებიდანვე მოგვკვდინებელი დარტყმა მიეყენებინა ამპარტავნებით შეპყრობილი ეშმაკისთვის. ო, როგორ შეინძრა ბოროტს ამ ჟამის დადგომის! მან მეფე ჰეროდეს სახით და მისი საშუალებით მოინდომა, არ დაეშვა დედამიწაზე ღვთის ამ სასწაულის აღსრულება და ამიტომაც გასცა ბრძანება, მოეკლათ ყველა ახალშობილი, რომელთა რიცხვმაც თოთხმეტი ათასს მიაღწია; მწარედ სტიროდა რაქილი შვილთა თვისთა. მაგრამ ამ მცდელობის მიუხედავად, განგებულება ღვთისა მაინც განცხადდა და კაცობრიობისათვის ზეცის კარიბჭენი განიხსნა.

რათა გავაცნობიეროთ აღნიშნული სიტყვების მნიშვნელობა, შევახსენებთ, რომ ჩვენი დაუძინებელი მტერი, — ბოროტი სული (რომელიც თავდაპირველად ნათლითმოსილი ანგელოზი იყოძ, ამპარტავნების ცოდვის გამო თავის მიმყოლ ანგელოზებთან ერთად ზეცის თვალშეუდგამი სიმაღლიდან ქვესკნელამდე დაემხო, რადგან შემოქმედის მიერ ნაბოძებ სიკეთეთა მითვისებაა და ღმერთთან გატოლება მოინდომა.



**უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის საშობაო ეპისტოლე**

# ერის გამოღვიძებისა და ღვთისკენ მაგრამ მაინც მიმდინარეობს. თუმცა არ თმობს პოზიციებს და ახალ-ახალ

გავიხსენოთ ადამი და ევაც; ისინი ბედნიერად ცხოვრობდნენ სამოთხეში, მაგრამ ამპარტავნების გამო, ეშმაკის მიერ ცდუნებულებმა, ღმერთობა ისურვეს; დაივიწყეს უფლის მცნება, იგემეს აკრძალული ხის ნაყოფი და მკაცრადაც დაისაჯნენ, - მაშინვე დაკარგეს მადლი შემოქმედთან სიახლოვისა, დაკარგეს სამოთხე და როგორც თვითონ, ისე მათი შთამომავალნიც ხრწნილებასა და სიკვდილს დაექვემდებარნენ.

ამპარტავნება - ეს არის უპირველესი, უდიდესი და უსაშინლესი ცოდვა, რომელსაც თითქმის ყველა ადამიანში ჰქონდა და აქვს მეტ-ნაკლებად ფესვი გადგმული და სწორედ იგი არის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ღმერთთან ჩვენი მიახლებისა. ამიტომაც ამ ეპისტოლეში აღნიშნულ ცოდვაზე გავამახვილებ ყურადღებას.

რა განაპირობებს მის განსაკუთრებულობას? უპირველეს ყოვლისა ის, რომ იგი შობს ყველა სხვა სიბილწეთ. წმიდა მამები ამბობენ, რომ თორმეტი ვნება არსებობს და ვინც მათ შორის უმთავრესს, ამპარტავნებას, თავისი ნებით მიიღებს, მისი საშუალებით დანარჩენ თერთმეტსაც თავისთან განუმზადებს ადგილს, მაშინ როდესაც სხვა მანკიერებანი, პირველ რიგში, მის საპირისპირო სათნოებებს აუკუღმართებენ. მაგალითად სიძვა - სიწმინდეს, შური - სიყვარულს, ნაყროვანება - თავშეკავებულობას და ა.შ.

უნდა ვიცოდეთ ისიც, რომ ადამიანმა შეიძლება დაძლიოს ყველა ცოდვითი მიდრეკილება და მიხვდეს, რომ ესა თუ ის ვნება აღარ აწუხებს, მაგრამ ამას ვერასოდეს იტყვის ამპარტავნების შესახებ; მან ყველგან და ყოველთვის შეიძლება დაგვიგოს მახე და მსწრაფლ განაქარვოს წლების მანძილზე ჩვენი ღვაწლით მოპოვებული მადლი.

ამასთან, სხვა ცოდვები შედარებით ნელი მოქმედებისაა, ხოლო ამპარტავნება, როგორც კი ტახტს დაიდგამს ადამიანის სულსა და გულში, იმ წამსვე ღუპავს მას. მდგომარეობის გამოსწორებისათვის კი ძალიან დიდი ძალისხმევაა საჭირო. განასხვავებენ ორი სახის ამპარტავნებას, - ხორციელს და სულიერს. ხორციელია, როცა ამა თუ იმ პიროვნებას თავი მოაქვს სხვადასხვა მიწიერი, ამქვეყნიური სიკეთით, მაგ., სიმდიდრით, სილამაზით, თანამდებობით, ჯანმრთელობით, სიძლიერით და ა.შ. ხოლო თუ იგი თვითკმაყოფილებას განიცდის ცოდვებთან ბრძოლაში მიღწეული წარმატებებით, მაშინ სახეზე გვაქვს ამ სენის ყველაზე მძიმე ფორმა, - სულიერი ამპარტავნება. ზოგიერთი გულწრფელად იკითხავს: მე თუ ჭკვიანი ვარ და ჩემს საქმიანობაში წარმატებული, თუ დამოუკიდებლად შევძელი ქონების შეძენა ან გავლენის მოპოვება, ვისი დამსახურებაა ეს, თუ არა ჩემი? წმიდა მამები ამ კითხვაზე მათ ასე პასუხობენ:

შენ შეგეძლო გეამაყა იმით, შენს შობამდე რომ გეარსება და გქონოდა რამე,

**მცირე, მაგრამ აქტიური ჯგუფი მოქალაქეებისა, უზნეობით ამაყობს, ცოდვას ცოდვად არ მიიჩნევს და ცდილობს, სხვებიც თავისი მსგავსი გახადოს; სამწუხაროდ, ამას ჩვენი მასმედიის საშუალებებიც ხშირად მხარს უბამენ, „სიმართლის" სახელით ავხორცობისა და სისასტიკის პროპაგანდას ახორციელებენ და ამით, ბოროტს დიდ სამსახურს უწევენ**

მაგრამ რადგან ღმერთის შექმნილი ხარ და არარსებობიდან არსებობაში შემოსული, ყველა სიკეთე, რაც შეიძინე, ღვთის საჩუქარია და ნაკლებად — შენი დამსახურება. შესაბამისად, თუ მოიძიებ ისეთ რამეს, რაც გაგიკეთებია გონებისა და გულის გარეშე, შენი ნამოქმედარია, დანარჩენი კი უფლის მიერაა ნაბოძები და ტყუილად ითვისებ.

თუ კარგად დააკვირდები, შეიცნობ, რომ შენი მარტო შენი ნებაა, რომ შენია მხოლოდ სურვილი და არჩევანი იმისა, თუ ვის დაუმორჩილებ ყოველივეს, რითაც უფალმა დაგაჯილდოვა.

ადამიანი ან მიდრეკილია უფლისკენ, ან ეშმაკისკენ ანუ საკუთარი თავის განდიდებისკენ.

თუმცა, პირველ ეტაპზე, ამპარტავანნიც ღვთისადმი მადლიერებას სიტყვით გამოხატავენ, გულში კი მხოლოდ საკუთარ თავს განადიდებენ. შემდგომ საფეხურზე მათ არათუ თავისი ღვაწლის წარმოჩენა „ერიდებათ", არამედ სხვათა დამსახურებასაც ხშირად საკუთარ თავს მიაწერენ; ამცირებენ გარშემომყოფთ, აზვიადებენ ყველაფერს და ითხოვენ გამორჩეულ პატივს. გულწრფელი აღსარება მათთვის თითქმის უჩვეულო რამაა.

არადა, ერთი შეხედვით, თითქოს როგორი ადვილია შენს თავში ღმერთის მყოფობა აღმოაჩინო და მისდამი მადლიერებით განიმსჭვალო.

რომ დავიბადეთ და დავდივართ, რომ ვხედავთ, ვსუნთქავთ და გვიყვარს, რომ ვაზროვნებთ და შეგვიძლია ამა თუ იმ საქმის კეთება, ეს ხომ მისი წყალობაა?! ხომ შეიძლება ერთ წუთში დავკარგოთ თვალის ჩინი, ან განსჯის უნარი ან მოძრაობის შესაძლებლობა..., და მერეღა მივხვდებით, რა უმადურნი ვყოფილვართ.

იაკობ მოციქული გვაფრთხილებს და გვმოძღვრავს, რომ „ამპარტავანთა შემუსრავს ღმერთი" (იაკ.4,6ძ.

არ წერია, რომ ასევე შემუსრავს მაგ, ქურდებს, ცრუთ, სათამაშო ბიზნესით დაკავებულთ, მრუშებს, ლოთებს..., მართალია, მათი შეცოდებანიც ფრიად სერიოზულია და სასჯელსაც დიდს მოიწევენ, მაგრამ ამის ჩამდენთ აქვთ ერთი უპირატესობა, - ისინი მოქმედებენ თავისი თავის ან სხვა ადამიანების წინააღმდეგ. ამპარტავანნი კი, თავისი თავხედობითა და უმადურობით, აშკარად უპირისპირდებიან შემოქმედს.

როგორ დავაღწიოთ თავი ამ საშინელ მდგომარეობას? თავმდაბლობა არის ერთადერთი წამალი ამპარტავნებისაგან განკურნებისა. თავმდაბლობას მოვიპოვებთ, თუ საკუთარ თავს, ჩვენს „მე"-ს უარვყოფთ და ღვთისადმი მადლიერებით აღვსილნი, სიმშვიდითა და ღირსებით შევხვდებით ქებასაც და დამცირებასაც, სიხარულსაც და ტკივილსაც, უსამართლობასა და შეურაცხყოფას. ამასთან, ჩვენი შინაგანი სამყარო ისე უნდა წარვმართოთ, რომ სხვა ჩვენზე უკეთესად, უფრო გონიერად და უპირატესად მიგვაჩნდეს, ჩვენ მიერ აღსრულებული კეთილი საქმეები კი, - უფლის წყალობად და არა საკუთარ დამსახურებად.

მაშინ შეიმუსრება ჩვენი სიამაყე და პატივმოყვარეობა და მის ადგილზე თავმდაბლობით მოპოვებული ღვთის მადლი დაივანებს. რა თვისებები განასხვავებთ ამპარტავანთ და თავმდაბალთ? თუ ამპარტავანი თავის ნაკლოვანებებს საერთოდ არ ხედავს ან როგორც უმნიშვნელოს, ისე წარმოაჩენს (არ არის გამორიცხული, იქამდეც კი მივიდეს, რომ ამით იამაყოსძ; თავმდაბალი მცირე ცოდვასაც მტკივნეულად განიცდის, წუხს და არ მალავს მას არც მოძღვრის და არც ადამიანების წინაშე.

ამპარტავანი, კეთილდღეობის შემთხვევაში, კიდევ უფრო ამაყი ხდება, განსაცდელის ჟამს კი ხვედრს ემდურის, გაბოროტებულია, სიმშვიდეს ვერსად პოულობს და სასოწარკვეთილებისკენაა მიდრეკილი. თავმდაბალი კი მწუხარებასაც და სიხარულსაც ერთნაირად იღებს, მიღწეულით არასოდეს კმაყოფილდება და სულიერ კიბეზე ზეაღსვლას სულგრძელებითა და მოთმინებით განაგრძობს.

ამპარტავანნი გაჭირვებულთ ბოროტებით პასუხობენ და თუ ამას საქმით ვერ აღწევენ, ცილისწამებას არ ერიდებიან. ღვთისსათნონი კი, ავისმქმნელთათვის ლოცულობენ და ცდილობენ, სიკეთით უპასუხონ, რადგან ბოროტება მხოლოდ სიყვარულით იკურნება და იციან, რომ ეს არის სათნო წინაშე ღვთისა. ჩვენს დროში განსაკუთრებით ზეიმობს ამპარტავნება, რადგან მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ ადამიანი თავის თავზე შეყვარებული და თავდაჯერებული გახადა.

მას კიდევ უფრო გაუმყარდა ილუზია იმისა, თითქოს, საკუთარ ძალებზე დაყრდნობით ყველაფერი შეუძლია გააკეთოს და, აქედან გამომდინარე, შემოქმედის ადგილიც დაიკავოს.

ისეთ დღესასწაულებსაც კი, როგორც შობა ან აღდგომაა, ისინი თავისი თავისთვის იწყობენ და ყველაფერს გარეგნულ ელფერს აძლევენ, ხოლო მათი არსი საერთოდ არ აინტერესებთ.

ბეთლემს შობილი ყრმა ყოველ წელს შეახსენებს მსოფლიოს, რომ ხსნის გზა თავმდაბლობითა და უბრალოებით იწყება.

კიდევ ერთ მომენტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: რამდენჯერ შეგვხვედრიან ადამიანები, რომლებიც თავს დიდად მორწმუნეთ არ მიიჩნევენ, მაგრამ მრავალ კარგ საქმეს აკეთებენ და, ერთი შეხედვით, სამაგალითონიც არიან; მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, ღვთისაგან ყველაზე მეტად დაცილებულნი სწორედ ისინი არიან, რადგან მათს გულსა და სულში, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, ამპარტავნებას აქვს ღრმად ფესვი გადგმული; ამიტომაც, თავის თავს შეჰხარიან და ამით ტკბებიან. თითქოს როგორი ადვილია, რომ მათ დამოკიდებულება შეცვალონ და ყველაფერი თავის ადგილზე დადგეს - მაგრამ არა, ნებისმიერი ცოდვისგან გათავისუფლება უფრო ეადვილებათ, ვიდრე ამ ნაბიჯის გადადგმა.

ამიტომ უწოდებს ნეტარი ავგუსტინე ურწმუნოთა სიკეთეთ „მბრწყინავ ცოდვებს," - გარეგნულად თვალისმომჭრელთ, შინაგანად კი ეშმაკის ქმედებებს.

ასეთ ადამიანთა მსგავსი იყო ჩვენი ხალხის მდგომარეობა ათეისტურ პერიოდში. სამოცდაათწლიანმა კომუნისტურმა რეჟიმმა ღმერთის რწმენის გარდა, წინ წამოსწია თითქმის ყველა ადამიანური სათნოება და ამით, ამპარტავნების საშინელი სენი კიდევ უფრო მეტად გააღრმავა საზოგადოებაში. დღეს, მართალია, რთულ პირობებში გვიწევს ცხოვრება, მაგრამ ამას თავისი დიდი დადებითი მხარეც აქვს - ჩვენ გვამდაბლებს უფალი და გვაჩვენებს, რომ თავის მოსაწონი არაფერი გვაქვს; გვაჩვენებს იმასაც, რომ ღვთის გარდა, იმედი არავისი და არაფერისა არ უნდა გვქონდეს.

ერის გამოღვიძებისა და ღვთისკენ შემობრუნების პროცესი, ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბოროტი ადვილად არ თმობს პოზიციებს და ახალ-ახალ მოულოდნელობებს გვთავაზობს, მაგ., მცირე, მაგრამ აქტიური ჯგუფი მოქალაქეებისა, უზნეობით ამაყობს, ცოდვას ცოდვად არ მიიჩნევს და ცდილობს, სხვებიც თავისი მსგავსი გახადოს; სამწუხაროდ, ამას ჩვენი მასმედიის საშუალებებიც ხშირად მხარს უბამენ, „სიმართლის" სახელით ავხორცობისა და სისასტიკის პროპაგანდას ახორციელებენ და ამით, ბოროტს დიდ სამსახურს უწევენ.

ღმერთის გზით მავალი ადამიანები კი, თავმდაბლობასთან ერთად, ესწრაფვიან, მოიპოვონ მადლი, რასაც წმიდა გრიგოლ პალამა ხელთუქმნელ ენერგიას უწოდებს. ეს ის ენერგიაა, რომელიც ნათლის სახით მაცხოვრის ფერისცვალებისას მოციქულებმა თაბორის მთაზე იხილეს.

შევნიშნავთ, რომ ღვთის ამ წყალობით აღვსების შესაძლებლობა ყველას თანაბრად აქვს, - ნასწავლსაც და უბირსაც, მდიდარსაც და ღარიბსაც, ქალსაც და მამაკაცსაც, მოხუცებულსაც და ახალგაზრდასაც, ოღონდ, ეს გულით უნდა მოვინდომოთ და სიკეთით, სულიერი და ფიზიკური შრომით განვამშვენოთ ჩვენი ცხოვრება.

დიახ, მადლმოსილება ადამიანის პიროვნული მდგომარეობაა და იგი უფლის საჩუქარია, მის სიდიდეს თავმდაბლობის ხარისხი განსაზღვრავს, ანუ რამდენადაც თავმდაბალია ადამიანი, მით უფრო მეტი მადლის დამტევია იგი. მადლი, რო-

გორც ღვთის არსების გამოვლინება, მისი ყველა თვისების მატარებელია. იგი არ არის მოძალადე, არამედ მაშინვე განეშორება ცოდვის ჩამდენს (რადგან ცოდვა-მადლი ურთიერთგამომრიცხავნიაძ, სინანულით შემუსვრულ გულს კი, კვლავ უბრუნდება და წყალობით ავსებს. ცოდვა-მადლს კიდევ ერთი თვისება აქვს, რაც ჩვენმა წინაპრებმა ასე გამოთქვეს: „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებაო“ და კიდევ „პაპის ნაჭამმა ტყემალმა შვილიშვილს მოჭრა კბილიო“.

ასე რომ, ადამიანი თავისი ქმედებებით, საკუთარ თავსაც და თავის შთამომავალთაც უმზადებს ერთგვარ სულიერ საგზალს, - ცუდს ან კარგს. მეცნიერებაში არსებობს ენერგიის მუდმივობის კანონი, რომლის მიხედვითაც, დამტკიცებულია, რომ სამყაროში არაფერი იკარგება, არამედ ერთი სახეობიდან მეორეში გადადის; იგივე ითქმის სულიერ სფეროზეც; ოღონდ, აქ ჩვენ ვგულისხმობთ ამქვეყნიურ ყოფას, თორემ უფლის წინაშე, ყველა მხოლოდ საკუთარი ცხოვრების მიხედვით განისჯება.

მაგალითისთვის გავიხსენებ ერთ მოვლენას, რომელიც, მართალია, სულის ცხონების საკითხს არ ეხება, მაგრამ, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია. XVII ს-ის I ნახევარში ირანში მოღვაწეობდა გამუსულმანებული უნდილაძეების დიდად გავლენიანი ოჯახი, რომელთაც ღრმა კვალი დატოვეს სპარსეთის კულტურულ-პოლიტიკურ ასპარეზზე. ისინი უზარმაზარი ქონებისა და ძალაუფლების მფლობელნი იყვნენ; ეს გავლენა კი, სპარსულ საქმეთა ერთგულების გამო მოიპოვეს.

# შემობრუნების პროცესი, ნელა, ისიც ფაქტია, რომ ბოროტი ადვილად მოულოდნელობებს გვთავაზობს

ქრისტიანული თვალთახედვით, ისინი, ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა, ღვთისაგან განდგომილნი იყვნენ, რადგან თავის მიწიერ კეთილდღეობას ყველაფერი ანაცვალეს, მაგრამ მდგომარეობა მთლიანად შეიცვალა, როდესაც საქმე სპარსელთა საქართველოზე ლაშქრობას შეეხო.

სამშობლოს ტკივილმა და სიყვარულმა მათს გულში დარჩენილი მადლის ნაპერწკალი ალად აქცია და მამაც და შვილებიც ისე გააძლიერა, რომ უარი თქვეს შაჰის დავალების შესრულებაზე, სანაცვლოდ კი, დათმეს ქონებაც, თანამდებობაც, თავისი და თავის ყველა შთამომავლის სიცოცხლეც სამშობლოს შესწირეს.

მაშინ როდესაც, მათ თანამედროვე ქართველთა შორისაც უფრო ადრეც, შემდგომაც და დღესაც იყვნენ და არიან ადამიანები, რომლებიც სიმდიდრისა და ძალაუფლების მოპოვებისათვის უკან არაფერზე იხევენ და ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედთაც გვერდში უდგანან.

საერთოდ, ეკლესია ღვთაებრივი მადლის საუნჯეა. უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მას გადასცა ძალაუფლება ცოდვათა შეკვრისა და გახსნისა. ანუ ღვთაებრივი მადლის მოხვეჭა და სასუფევლის დამკვიდრება მართლმადიდებელ ეკლესიაშია შესაძლებელი, რადგან იგია მაცხოვრის მისტიური სხეული, რომელიც ღვთაებრივი მადლით ზეციურ, მოზეიმე ეკლესიას უკავშირდება და ეს ურთიერთობა ლოცვით ხორციელდება.

მე არაერთხელ მითქვამს, რომ საქართველო ღვთის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშაა.

უფლისა და ზეციურ ძალთა გარდა, ჩვენ შემწედ, უპირველეს ყოვლისა, გვყავს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, დედა და მფარველი საქართველოსი, მსოფლიო მართლმადიდებელ წმინდანთა დასი და, რა თქმა უნდა, ჩვენი ეკლესიის უთვალავი წმინდანი, აგრეთვე, სამოთხის მკვიდრი სხვა ჩვენი ღირსეული წინაპრები. ამაშია მადლი და ძალა ჩვენი ქვეყნისა. მაგრამ მათი შეწევნა რომ მივიღოთ, განწმენდილი გულით აღვლენილი ლოცვა უნდა შევწიროთ, რათა მოხდეს სინერგია, - ადამიანური და ღვთაებრივი ძალის შერწყმა და ღვთის მოწყალების კარის განღება.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანის ცხონებას მისი პირადი ნება განსაზღვრავს, ქვეყნის კეთილდღეობას კი - მადლმოსილი ადამიანების სიმრავლე, რათა სიძნელეების დაძლევა შევძლოთ.

გარდა სულიერისა, სიძნელეები სხვაც მრავლად გვაქვს: მასიური უმუშევრობა, ჩვენი მოსახლეობის უცხოეთში მიგრაცია, საშუალო და უმაღლესი განათლების დაბალი დონე, პატიმრების რიცხვის ზრდა, საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესის, სოფლის მეურნეობის პრობლემები...

მეტად სამწუხაროა, რომ ტერიტორიული მთლიანობის საკითხს, ერის ერთიანობის წინააღმდეგ მიმართული ქმედებებიც ემატება. როგორც ცნობილია, XIX ს-ის ბოლოს მეფის რუსეთის იმპერიაში შემუშავდა „მეცნიერული“ კონცეფცია (დაყავი და იბატონეს პრინციპის გათვალისწინებითძ საქართველოში მეგრულ-ლაზურ-ქართულ-სვანური ენებისა და კულტურების დამოუკიდებლად არსებობის შესახებ.

ეს პროცესი, მეტნაკლებად ფარულად, კვლავაც მიმდინარეობს და, რა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ უცხო ქვეყნების ინტერესებს ემსახურება. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ, დავიცვათ ჩვენი ერთობა, ისევე როგორც ამას აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები. ოღონდ, როგორც დიდი ილია ამბობს, დღეს არის არა ხმლის, არამედ წიგნისა და კალმის ომი.



პრობლემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, საჭიროა საზოგადოების ძალისხმევა, რათა შეიქმნას სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და ვებ-გვერდები, რომელიც სათანადო პასუხს გასცემს როგორც ტერიტორიული მთლიანობის, ისე ქართველი ერის დაშლის მოსურნეთ. ამ საქმეში დიდი სამსახური შეიძლება გაწიონ უცხოეთში მყოფმა ჩვენმა თანამემამულეებმა; მათ ვებ-გვერდები იმ ენაზე უნდა გააკეთონ, რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობენ. ამით ისინი სამშობლოს ინტერესებს შესაძლებლობისამებრ დაიცავენ.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმასაც, რომ ა.წ. 21 დეკემბერს საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო გადაწყვეტილება ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიის მმართველ მღვდელმთავრადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის დადგენის შესახებ;

ეს არის ისტორიული რეალობის საჯაროდ კიდევ ერთხელ განცხადება და თქმა იმისა, რომ აფხაზეთი ყოველთვის იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ხოლო აფხაზეთის მოსახლეობა - საქართველოს ეკლესიის სულიერი შვილები, რასაც მოწმობს წერილობითი წყაროები და აქ აღმართული უძველესი ტაძრები. იგივე ითქმის ცხინვალის რეგიონის შესახებაც.

**ეკლესია ღვთაებრივი მადლის საუნჯეა. უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემ მას გადასცა ძალაუფლება ცოდვათა შეკვრისა და გახსნისა. ანუ ღვთაებრივი მადლის მოხვეჭა და სასუფევლის დამკვიდრება მართლმადიდებელ ეკლესიაშია შესაძლებელი, რადგან იგია მაცხოვრის მისტიური სხეული, რომელიც ღვთაებრივი მადლით ზეციურ, მოზეიმე ეკლესიას უკავშირდება და ეს ურთიერთობა ლოცვით ხორციელდება**

აღვნიშნავთ იმასაც, რომ ისტორიის მანძილზე, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიუხედავად, საქართველოს ეკლესიის იურისდიქციის საზღვრები არ შეცვლილა იგი, ღვთის წყალობით, სულიერად თითქმის ყოველთვის ინარჩუნებდა ათასწლეულობით ჩამოყალიბებულ, მთლიან სხეულს ჩვენი ქვეყნისა და ეს დღესაც ასეა.

ის, რაც ჩვენსა და აფხაზებს, ჩვენსა და სამაჩაბლოს (ცხინვალის რეგიონიძ ოსებს შორის მოხდა, შედეგია პოლიტიკური ინტრიგებისა და მას ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთობასთან საერთო არაფერი აქვს.

**ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მიწას, სასარგებლო წიაღისეულს, წყალს და ტყეს, ასევე მუზეუმებსა და არქივებს, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ და მათი გაყიდვა-გასხვისება არ შეიძლება. საჭიროა, სახელმწიფოს მიერ შემუშავებულმა კანონებმა დაიცვას ერის ეს საუნჯე**

ჩვენ გვაკავშირებს სისხლით ნათესაობა, საუკუნოვანი თანაცხოვრება, ნათელ-მირონობა, მეგობრობა და მრავალრიცხოვანი შერეული ოჯახები, რაც იძლევა იმედს იმისას, რომ ადრე თუ გვიან აღდგება და განახლდება ძველი ურთიერთობა და მეგობრობა აფხაზებთანაც და ოსებთანაც.

შევეხები მთის პრობლემებსაც; მოგეხსენებათ, საქართველო ოდითგან მთისა და ბარის ერთობით იყო ძლიერი. ბარს მთა იცავდა, მთას კი ბარი განამტკიცებდა. გახსოვთ თუნდაც შაჰ-აბასის შემოსევა, როდესაც კახელების საარაკო მამაცობის მიუხედავად, რიცხვით მრავალმა მტერმა ეს მხარე მაინც დაიკავა, მთიელების სახალხო ლაშქარი შეიყარა და თავგანწირული ბრძოლით სპარსელნი განდევნა. ბახტრიონის აჯანყების სახელით ცნობილმა ამ მოვლენამ, არა მარტო ბარი იხსნა სრული იავარქმნისაგან, არამედ მთიულეთი და თუშ-ფშავ-ხევსურეთიც გადაარჩინა.

სამწუხაროდ, კომუნისტურ პერიოდში, საქართველოს მთიანეთი დაიცალა და დღეს მიტოვებულია არა მარტო სოფლები, არამედ მთელი კუთხეები; კერძოდ: თუშეთი, ხევსურეთი, ფშავის ნაწილი, რაჭა..., სადაც ზაფხულის პერიოდის გარდა, მოქმედ სოფლებში თითო-ოროლა ოჯახი ან სულაც, ერთი ადამიანი სახლობს.

არადა ამ ტერიტორიების განსაკუთრებულობას ისიც განაპირობებს, რომ ისინი საზღვრისპირა რეგიონებია და მათ სტრატეგიული დანიშნულებაც აქვთ. ვინაიდან არსებული მდგომარეობის მთავარი მიზეზი სოციალურ-ეკონომიკური პირობებია, სახელმწიფოებრივი თანადგომისა და მატერიალური მხარდაჭერის გარეშე, ბუნებრივია, მოსახლეობის დაკავება ვერ მოხერხდება.

ეკლესია, თავისი შესაძლებლობის ფარგლებში, ცდილობს, წვლილი შეიტანოს აღნიშნული მხარეების გამოცოცხლების საქმეში და, ამ მიზნით, აქ მონასტრებს აარსებს.

მთის თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ამ რამდენიმე თვის წინ, შედგა ჩემი მოგზაურობაც თუშეთსა და ხევსურეთში და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ აღმოსავლეთ მთიანეთს (და რაჭასაცძ დროულად უნდა გაეწიოს სერიოზული დახმარება, თორემ შემდეგ, ათჯერ მეტი ძალისხმევა იქნება საჭირო მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ჩვენ ადრეც შევთავაზეთ ხელისუფლებას და ახლაც შევახსენებთ, რომ იქნებ ერთ-ერთ საქმედ იქცეს აქაურ დაუსახლებელ ტერიტორიებზე მცირე დანაშაულის მქონე პატიმრებისთვის მიმაგრების ადგილებისა და სოფლების მოწყობა (თავისი მეურნეობებითძ, რაც დასაქმების პრობლემასაც ნაწილობრივ გადაწყვეტს და დაცულ ზონებსაც შექმნის.

ბუნებრივია, აქ უნდა ასევე განვითარდეს მესაქონლეობა, მეცხვარეობა, მეფუტკრეობა, მეთევზეობა, ხელსაქმე, მიწის ერთობლივი დამუშავებისათვის კი, უნდა შეიქმნას კოოპერატივები.

სვანეთში და საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში განხორციელებული სახელმწიფო პროგრამები იმედს იძლევა, რომ ეს საკითხიც აქტუალური გახდება და მდგომარეობა გამოსწორდება.

სულ ორიოდე სიტყვით შევნიშნავთ იმასაც, რომ ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მიწას, სასარგებლო წიაღისეულს, წყალს და ტყეს, ასევე მუზეუმებსა და არქივებს, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ და მათი გაყიდვა-გასხვისება არ შეიძლება. საჭიროა, სახელმწიფოს მიერ შემუშავებულმა კანონებმა დაიცვას ერის ეს საუნჯე.

ჩვენ ზემოთ მრავალ რთულ თემას შევეხეთ, რომელთა მოგვარებაც ხელისუფლებას ევალება, მაგრამ თითოეულ ჩვენგანზეც დიდი პასუხისმგებლობაა დაკისრებული.

ეს ლიტონი სიტყვები არ არის.

ყველამ ვისაც უნდა, ღვთის შვილად იწოდებოდეს, ზრუნვა პირველ რიგში მადლის მოხვეჭისათვის უნდა დაიწყოს, რომ ერთობლივი ძალით ღმერთის მფარველობა მოვიპოვოთ (ცალკეულ პირთა მადლმოსილება ქვეყნის გადარჩენისა და განვითარებისათვის არ არის საკმარისი; გავიხსენოთ მართალი ლოთი და პირისაგან მიწისა აღგვილი სოდომ-გომორიძ, ვინაიდან ყველა ჩვენი პრობლემა, სინამდვილეში, ღვთაებრივი მადლის ნაკლოვანებებიდან მოდის. მე მომავალს იმედით ვუყურებ, რადგან, ვიმეორებ, ქვეყანაში მიდის სულიერი გამოღვიძების რთული და განმწმენდელი პროცესი;

უფალი თავისი იდუმალი, მტკივნეული, მაგრამ გადამრჩენელი გზებით გვატარებს, რათა, თითოეული ჩვენგანი, ვითარცა მამასთან დაბრუნებული დამდაბლებული და შეჭირვებული უძღები შვილი, გულში ჩაიკრას და სიხარულით აღვსილმა, საზეპურო სუფრა გაშალოს.

საყვარელნო დანო და ძმანო, არჩევანი თქვენზეა, საქართველოს ბედიც თქვენზეა დამოკიდებული.

ამ იდუმალებით მოცულ ღამეს ჩვენც გავყვეთ ბეთლემისკენ მიმავალ დიდებულ ვარსკვლავს და სიხარულით აღვივსოთ, რამეთუ ჩვენთვის იშვა ემმანუელი, ყრმა ახალი, პირველ საუკუნეთა ღმერთი!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

**ილია II**

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
შობა ქრისტესი
თბილისი, 2011 წ.

გვეხმაურებიან

# სასწრაფოდ უნდა გამოვლინდეს ამ დანაშაულის დამკვეთთა და შემსრულებელთა ვინაობა

## „ქართული აკადემიის“ განცხადება

„ქართული აკადემია“ მიესალმება მოშიმშილე ვეტერანთა დარბევასთან დაკავშირებით ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის ბ-ნი ჯონ ბასის პოზიციას და იმედს გამოთქვამს, რომ ამ ანტიდემოკრატიული ფაქტის შესახებ საკუთარ პოზიციას გამოავლენენ საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის სხვა წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

საერთოდ, გმირთა მოედანზე ომის ვეტერანთა დარბევამ მწვავე საზოგადოებრივი რეზონანსი გამოიწვია. სწორედ ამგვარი რეზონანსის შედეგია ის, რომ თანამდებობიდან გაათავისუფლეს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ოთარ გვენეტაძე. ეს თავისთავად პოზიტიური ფაქტია, თუმცა გასარკვევია: პოლიციის რა სტრუქტურაში მუშაობდა ეს ადამიანი, რა თანამდებობიდან გაათავისუფლეს იგი, საერთოდ დაითხოვეს პოლიციიდან თუ სხვაგან გადაიყვანეს და ა. შ. მთავარი და არსებითი კი მაინც ის არის, ხომ არ აპირებს ხელისუფლება თავისი დანაშაული მთლიანად გვენეტაძეს დააკისროს, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, დასაჯოს მეისრე და ამით სცადოს, თავი დაიძვრინოს პასუხისმგებლობისაგან.

ეჭვს არ იწვევს, რომ გადაწყვეტილება მოშიმშილეთა დარბევის შესახებ ხელისუფლების უმაღლესი პირების მიერაა მიღებული, ხოლო ვინ არიან ისინი, რა ამოძრავებდათ, როცა ამ გადაწყვეტილებას ღებულობდნენ და სხვ., აუცილებლად უნდა იქცეს სკრუპულოზური გამოძიების საგნად და დამნაშავეთა სისხლის სამართლებრივი დევნის საფუძვლად.

მხარს ვუჭერთ 12 არასამთავრობო ორგანიზაციის მოთხოვნას მოშიმშილე ვეტერანთა დარბევის გამო გამოძიების დაწყების შესახებ და კიდევ ერთხელ დაბეჯითებით ვიმეორებთ „ქართული აკადემიის“ 4 იანვრის სპეციალურ განცხადებაში დაყენებულ მოთხოვნებს:

1. სასწრაფოდ გამოვლინდეს ამ დანაშაულებრივი და ამორალური გადაწყვეტილების მიმღებთა ვინაობა და მათი ქმედების მოტივაცია.

2. დაიწყოს გამოძიება ამ სამარცხვინო ფაქტის დამკვეთთა და შემსრულებელთა გამოსავლენად და კანონის მთელი სიმკაცრით დასასჯელად.

„ქართული აკადემია“

რამდენად სწორია „ნაკლები ბოროტების“ იდეა?

# ფრთხილად — ჩრდილოეთ კავკასიაა!

**უკანასკნელ პერიოდში რუსეთში განვითარებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ გააცოცხლა თავის დროზე ეროვნული მოძრაობის მიერ შემოთავაზებული და შემდეგ მივიწყებული იდეა „იბერიულ-კავკასიური ერთობის“ შესახებ. საინტერესოა, რომ როგორც მაშინ, ისე ამჯერადაც ეს იდეა პოპულარული ხდება უკვე არჩეული და ისტორიულად ჩამოყალიბებელი მოკავშირისა და „მფარველის“ მიმართ ერთგვარი იმედგაცრუების ფონზე, რასაც მცირერიცხოვანი ერებისთვის დამახასიათებელი „მარტო დარჩენის“ ქვეცნობიერი შიში კიდევ უფრო აძლიერებს.**

თუკი მაშინ „კავკასიური კარტის“ გათამაშება შესაძლებელი გახდა 9 აპრილის შემდეგ საზოგადოებაში გამეფებული ანტირუსული განწყობის გამო - იმ 9 აპრილის, რომელმაც ზოგადად უზარმაზარი ბზარი გააჩინა ქართულ-რუსულ ურთიერთობებში და ძირი გამოუთხარა რუსეთის, როგორც სტრატეგიული მოკავშირის იდეას, დღეს იგივე იდეები პოპულარული ხდება უკვე ახალი მოკავშირისა და „მეგობრის“ – ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ ჯერჯერობით ჩუმი და შენიღბული, მაგრამ ღრმა იმედგაცრუებით, რაც აგვისტოს ომის შემდეგ განსაკუთრებით გამოიკვეთა.

ზოგადად, მოკავშირე და მონათესავე ხალხის ძიების იდეა არის ის უმთავრესი ღერძი, რის გარშემოც ტრიალებდა ქართული პოლიტიკური აზროვნება მთელი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში. ალბათ სიმბოლურია, რომ საერთოდ, ქართული პოლიტიკური აზრის ისტორია იწყება აიეტისა და ფარნაოზის დაპირისპირებით იმასთან დაკავშირებით, თუ „ვისთან“ უნდა ყოფილიყო კოლხეთი და რომელი იმპერია წარმოადგენდა იმ პერიოდისთვის „ნაკლებ ბოროტებას“.

„ნაკლები ბოროტების“ იდეა, რომელიც დროდადრო „მოკავშირის“ ან „მფარველის“ ძიების ფორმას იღებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ძლიერია ქართული სახელმწიფო მოცემულ ეტაპზე, საკვანძო საკითხად გასდევს მთელს ჩვენს ისტორიას და ეს ბუნებრივიცაა: მცირე და პატარა ერებს თვით ცხოვრება აიძულებს, მოძებნონ საერთო შეხების წერტილები სხვა ხალხებთან და კოლექტიური ძალისხმევით შეამცირონ „მარტო ყოფნის საფრთხე“, რომელიც მით უფრო დიდია, რაც უფრო პატარა და სუსტია ქვეყანა.

ეს ყველაფერი ბუნებრივია, მაგრამ თვით ამ „ნათესავის ძიებასაც“ აქვს თავისი „თამაშის წესები“, რომლის არცოდნა (ან დარღვევაძ ძალიან დიდი იმედგაცრუებით ან სულაც ნაციონალური კატასტროფითაც კი შეიძლება დამთავრდეს „პატარა ერისთვის“. პრაგმატული პოზიციიდან გამომდინარე, არარეალური „ნათესავების“ ძებნას ჯობდა თუნდაც თავიდანვე „ობოლი ერის“ თეორია მიგვეღო და ჩვენი სტრატეგიაც ამ მოცემულობიდან გამოგვემუშავებინა (ამაში კატასტროფული არაფერია, ებრაელებს და სომხებს არასდროს უძებნიათ „მუდმივი მეგობრები“, ანუ ნათესავებიძ. მაგრამ დღეს ჩვენი საერთონაციონალური მატრიცის შეცვლა უკვე შეუძლებელია: ათასწლეულებმა თავისი კვალი დატოვეს ეროვნულ ცნობიერებაზე და სამუდამოდ ჩააყენეს იგი „კეთილი მფარველის“ ძებნის რეჟიმში.

იდეა ერთიანი იბერიულ-კავკასიური სივრცის იდეა ახალი არაა, თავის დროზე ამ თეორიას ავითარებდა არნოლდ ჩიქობავა, ხოლო პოლიტიკური დატვირთვა ამ ყველაფერმა შეიძინა უკვე საქართველოს პირველი პრეზიდენტის მოღვაწეობის პერიოდში, მაგრამ ამ საკითხის პრაგმატული ანალიზი მაშინ არ მომხდარა. ამაზე მიანიშნებს თუნდაც ის, რომ საზოგადოებამ ვერ შეამჩნია ფუნდამენტური გადატრიალება თვით „ნათესაობის“ მიზანში: ელემენტარულად, არავის დაუსვამს კითხვა, საერთოდ რაში გვჭირდება „პოლიტიკური ნათესავები“? თუკი მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართველი მეფეები „ნათესავებს“ ეძებდნენ პრაგმატული პოზიციიდან გამომდინარე, ანუ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად დაგვეხმარებოდა ესა თუ ის „ნათესავი“ შეგვენარჩუნებინა მეტი თავისუფლება ან უკიდურეს შემთხვევაში ფიზიკური არსებობა მაინც, ამჯერად აქცენტი კეთდებოდა „ნათესაობაზე ნათესაობისთვის“, რადგან არავითარი რეალური სარგებლის მოტანა ჩრდილო კავკასიელ ნათესავებს არ შეეძლოთ და პირიქით, იქეთ მოელოდნენ დახმარებას.

იყო თუ არა საქართველო იმდენად ძლიერი იმ პერიოდში, რომ თვითონ ეთამაშა „მფარველის“ როლი? მით უმეტეს მაშინ, როცა მათი „მფარველობა“ რუსეთის ფედერაციასთან კონფრონტაციას ნიშნავდა? ამ კითხვაზე ისტორიამ უკვე გასცა პასუხი და ეს „მფარველის მანტიაც“ ძალიან ძვირი დაგვიჯდა, მაგრამ დღეს ისევ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებსაც სურთ იგივე შეცდომის კიდევ ერთხელ დაშვება, რაც ადვილი შესაძლებელია კიდევ უფრო დიდი კატასტროფით დასრულდეს საქართველოსთვის.

„დიდის“ ნაცვლად „პატარა“ ნათესავების ძებნა იყო (და არისძ აბსოლუტურად უცხო იდეა ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში და უფრო მეტიც, იგი წინააღმდეგობაში მოდის ქართული პოლიტიკური აზრის „გენერალურ ხაზთან“. 1980-იანი წლების ბოლოს ეს „კავკასიური რომანტიზმი“ გამოწვეული იყო ერთი მხრივ ისტორიის საკმაოდ არატრადიციული ინტერპრეტაციით, ხოლო მეორე მხრივ საკუთარი ძალების გადაჭარბებული შეფასებით: „ნათესაობა“, თუნდაც უეჭველი და დადასტურებული, აბსოლუტურად არაფერს ნიშნავს, თუკი ამ ნათესავების დაცვა არ შეგიძლია.

მაგრამ, მოდით, ვნახოთ, რას წარმოადგენს თვით „იბერიულ-კავკასიური“ ერების ნათესაობის იდეაც. ეს იდეა ეფუძნება მეოცე საუკუნეში წარმოშობილ თეორიას ქართული და ზოგი ჩრდილოკავკასიური ენის საერთო ძირის შესახებ. უნდა ითქვას, რომ აღნიშნული თეორია სულაც არ არის უდავოდ დამტკიცებული ფაქტი. ამ საკითხზე საკმაოდ მწვავე კამათი იყო მეცნიერებს შორის და უკანასკნელ წლებში ეს თეორია სულ უფრო ნაკლებად მიიჩნევა მეცნიერული ღირებულების მქონედ, მაგრამ მე არ ვაპირებ აქ განვიხილო ლინგვისტური საკითხები. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ თუნდაც ნათესაობა არსებობდეს, ეს იქნება ძალიან შორეული ნათესაობა, რადგან რეალურად ახლონათესაურ ენებს შორის კავშირის დადგენა არათუ ენათმეცნიერს, არამედ მეტ-ნაკლებად განათლებულ „ჩვეულებრივ“ ადამიანსაც კი არ უჭირს (მაგალითად: რუსულსა და უკრაინულს, თურქულსა და აზერბაიჯანულს შორისძ. ფაქტია, რომ არც ერთი ჩრდილოკავკასიური ენა არ ენათესავება ქართულს არც ენობრივი ქვეჯგუფის და არც ენობრივი ჯგუფის დონეზე, ხოლო რაც შეეხება ენობრივ ოჯახს, ეს კრიტერიუმი იმდენად შორეულ ნათესაობას ითვალისწინებს, რომ ამ ლოგიკით ბოშები და ინგლისელებიც(!ძ ნათესავები არიან (ორივე ხალხის ენა ინდოევროპულიაძ.

მაგრამ დავუშვათ ქართველურ და ჩრდილოკავკასიურ ენებს მართლაც აკავშირებდეთ ძალიან შორეული ლინგვისტური ნათესაობა – ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამ ხალხებს შორის არსებობს რეალური, ცივილიზაციური სიახლოვე?

ენის წარმოშობა წინ უსწრებს ცივილიზაციის წარმოშობას და შესაბამისად, არავითარ ცივილიზაციურ ნათესაობას იგი არ შეიძლება განსაზღვრავდეს. საუკეთესო შემთხვევაში, მას შეუძლია მხოლოდ „გააძლიეროს“ ნათესაობის შეგრძნება, თუკი არსებობს ამ ნათესაობის ცივილიზაციური ნიშნები. როდესაც მეოცე საუკუნის ბოლოს სამუელ ჰანტინგტონი მუშაობდა ცნობილ „ცივილიზაციათა შეჯახების“ თეორიაზე, რომელიც, მისი აზრით, განსაზღვრავს დედამიწის მომავალ ისტორიას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მან ფაქტობრივად არავითარი ყურადღება არ მიაქცია ლინგვისტურ მომენტს და ცივილიზაციები დაალაგა ძირითადად ისტორიულად წამყვანი რელიგიების მიხედვით. ამაში არის ღრმა ლოგიკა: ჰანტინგტონს რომ ლინგვისტური ფაქტორით ეხელმძღვანელა, მას მოუწევდა ირანის და საფრანგეთის ერთ ცივილიზაციაში „ჩასმა“, მხოლოდ იმიტომ, რომ ფარსიც და ფრანგულიც ორივე ინდოევროპული ენებია, ასეთი გადანაწილება კი, რა თქმა უნდა, ყოველგვარ ისტორიულ ლოგიკას ეწინააღმდეგება.



ის, რომ ლინგვისტური ფაქტორი არათუ მცირე, არამედ აბსოლუტურად არავითარ როლს არ ასრულებს „სიახლოვის“ შეგნების გამომუშავებაში, კარგად ჩანს შემდეგი მაგალითებიდან: უკანასკნელ პერიოდში დედამიწაზე არ ყოფილა იმაზე ხანგრძლივი და სასტიკი კონფლიქტი ვიდრე კონფლიქტები ერთი მხრივ ისრაელსა და არაბულ სამყაროს, ხოლო მეორე მხრივ ინდოეთსა და პაკისტანს შორის. საოცარია, მაგრამ ორივე შემთხვევაში დაპირისპირებული მხარეები არათუ „ლინგვისტურად მონათესავე ხალხებია“ (არაბულიც და ივრითიც სემიტური ენებიაძ, არამედ თითქმის ერთ ენაზეც კი ლაპარაკობენ (ჰინდი და ურდუ „ურთიერთგაცვლადი“ ენებია, ანუ იმაზე ახლოს დგანან ერთმანეთთან, ვიდრე ქართული და სვანურიძ. იგივე სურათია ევროპაშიც: სერბები, ხორვატები და ბოსნიელი მუსულმანები ერთ ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ ევროპაში არსად გამწვავებულა ერთაშორისი ურთიერთობები ისე, როგორც ყოფილ იუგოსლავიაში.

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ უნდა მივისწრაფოდეთ ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და შენარჩუნებისკენ ჩრდილოკავკასიურ ერებთან – პირიქით, ჩვენს ინტერესებში ზუსტადაც რომ პირველი ადგილი უნდა ეკავოს სწორედ მეზობელ ხალხებთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აწყობას, საერთო ინტერესებიდან და მისწრაფებებიდან გამომდინარე, რაც პირველ რიგში გულისხმობს მშვიდობის შენარჩუნებას ამ ზედმეტად ფეთქებადსაშიშ რეგიონში, მაგრამ არ მგონია, ამ მიზნის მისაღწევად კარგი საშუალება იყოს „ორის დაძმობილება მესამის წინააღმდეგ“ და ამით ისედაც უკიდურესობამდე დაძაბული სიტუაციის კიდევ უფრო დაძაბვა, მით უმეტეს იმ იდეის გამო, რომელიც კავკასიის მთავარი ქედის გადაღმა არასდროს ყოფილა პოპულარული.

ზვიად ავალიანი

№ 5. სამშაბათი, 11 იანვარი, 2011 წელი.

## ◉ არაჩასაფრებული კაცის ფიქრები

***მაგონდება** ჩემი ბავშვობისდროინდელი ახალი წლის დღეები და, რა ვიცი, ჩემი მოკლე ჭკუით, დღევანდელი „დემოკრატიული“ ტაშ-ფანდურა თუ გაჩახჩახებული თბილისის ქუჩები სითბოთი და სიხარულით ახლოსაც ვერ მოვა იმ „ბნელ“, კომუნისტების დროინდელ თბილისთან. თუნდაც მხოლოდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მაშინ ახალი წელი, უწინარესად, ოჯახური დღესასწაული იყო.*

*მახსოვს მაშინდელი თბილისის დაცარიელებული ქუჩები რადგან 12 საათზე, როგორც წესი, ყველანი საკუთარ ოჯახებში ვუსხედით უხვ სუფრას: ბაბუები თუ შვილიშვილები, მშობლები და შვილები, დები თუ ძმები, ჯერ საკუთარ ფუძე-ჭერში დავილოცებოდით, ოჯახის წევრებს ტკბილად „დავაბერებდით“, მხოლოდ ამის შემდეგ მოვედებოდით თბილისის ქუჩებს და იწყებოდა ნაცნობ-მეგობრებში მეკვლეობა, გადასვლა-გადმოსვლა გათენებამდე!.. და ასე იყო არა მხოლოდ თბილისში, მთელს საქართველოში...*

# „სიძველისადმი გრძნობა, პატივი, თუ შენში ოდნავ მაინც ელვარებს“...

ახლა? „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ ერთ დროს ოჯახური დღესასწაული სახლიდან ქუჩაში გააგდეს, ამ სიტყვის ფიგურალური და პირდაპირი მნიშვნელობითაც! ეს ყველაფერი კი იმ სამწუხარო კონტექსტში ხდება, რასაც ყოველივე ქართულთან, ეროვნულ ტრადიციებთან მიზანმიმართული ბრძოლა ჰქვია, რასაც, უნდა ვაღიაროთ, არცთუ წარუმატებლად ეწევიან სოროსის ძუძუნაწოვი მანქურთი ხლისტები დღიდან ხელისუფლებაში მოსვლისა, რაც, თავის მხრივ, ნეომასონ-გლობალისტთა მთავარ მიზანს – ე. წ. ახალი ქართველის გენმოდიფიცირებული ჯიშის გამოყვანის პროცესს ემსახურება!

დავიწყოთ იქიდან, რომ ჩვენისთანა უბედურ, ტერიტორიებდაკარგულ, ოკუპირებულ ქვეყანას მეტი მოკრძალება მართებს დღესასწაულების დროს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რამდენი გაჭირვებული, ელემენტარულად ხელგაწვდილი მათხოვარი დგას თბილისის ქუჩებში, უფრო მეტიც, სულ ახლახან ერთმა ლტოვილილმა ქალბატონმა, ორი შვილის დედამ უკიდურესი შეჭირვების გამო თავი დაიწვა. სრულიად ლეგიტიმურად ისმის კითხვა – **საერთოდ გვაქვს კი მორალური უფლება ნებისმიერი დღესასწაულების ისეთი პომპეზურობით აღნიშვნისა, როგორც თუნდაც ეს ახალი წელი იზეიმა ხელისუფლებამ?**

დიახ ხელისუფლებამ და არა ხალხმა! ხელისუფლებამ, რომელთა წარმომადგენლებსაც მართლაც საკალანდე ღორებივით გასივებიათ თავ-კისრები და რომლებიც ახალწლის დღეებში „რთული“ არჩევანის წინაშე იდგნენ – საცივი გადაელოთ სუფრიდან, შემწვარი გოჭი თუ გოზინაყი! მოსახლეობის უმრავლესობას კი ელემენტარულად, შვილების ყოველდღიური გამოკვების პრობლემა აქვს გადასაჭრელი.

ეს რომ ასეა და ყველაფერი ჩემი, „ჩასაფრებული კაცის“ ავადმყოფი ტვინის ფანტაზია არ არის, ის სულის შემძვრელი წერილიც მოწმობს, რომელიც სწორად წინასაახალწლოდ მიუწერია 10 წლის ბიჭუნას პრეზიდენტისთვის – **როგორც მე მშია და მცივა, ისე მოგშივდეს და შეგცივდეს, ბატონო პრეზიდენტოო!** დაახლოებით ამას წერდა ამ ახალი წლის უიმედოდ მომლოდინე ბავშვი. თუმცა იგი უცოდველი ყმაწვილის პირიდან ამოსულ წყევლას უფრო ჰგავს, ვიდრე ღია წერილს, და გეშინოდეთ მის ადრესატებს, რადგანაც გამიგონია, მამაკაცის წყევლას, დედაკაცის ქოქოლასთან შედარებით, უფრო მეტი ძალა და „მისავალი“ აქვსო და, ხომ წარმოგიდგენიათ, უმანკო ბავშვის წყევლას რა ძალა ექნება?

სხვათა შორის, იმ ბავშვის მაც აფხაზეთის თუ სამაჩაბლოს ომის ვეტერანი ყოფილა! რატომ „ც“? იმიტომ, რომ წინასაახალწლოდ დაიწყო ყველასგან მიგდებული ვეტერანი გმირების შიმშილობის აქცია გმირთა მოედანზე, რომელიც 3 იანვარს უმოწყალოდ დაარბიეს. რატომ? როგორც ამბობენ, ჩვენს პრეზიდენტს, რომელიც ვაკეში „სუშის“ საჭმელად მიიჩქაროდა, ვარაზისხევში შემთხვევით დაუნახავს ვეტერანების აქცია და, – „რომ ჩამოვივლი, აქ არ დამანახოთ ეგენიო“, – უბრძანებია! და „ამათაც“ აღარ დაანახვეს – სულ ცემა-ტყეპით აყარეს. იქამდეც კი, რომ ერთ-ერთი ვეტერანის ლამაზი მეუღლეც შემოელახათ – დაასისხლიანეს ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით!

**ფუი ასეთ ყოფას და ჩვენს კაცობას, ქართველებო! ყოველივე ზემოთ თქმულის და იმის მიუხედავადაც, რაც ქვემოთ უნდა ვთქვა, ხმის ამოღებასაც რომ ვერ ვბედავთ!**

ამასთან დაკავშირებით ერთი, კომუნისტების დროინდელი ამბავი მახსენდება.

კომუნისტები ამბობდნენ, უფრო სწორად, გვეუბნებოდნენ – ჩემი „ისამესა“ კიტრია, გინდა ჭამე და გინდა ნუ შეჭამო! თუმცა ამ ნათქვამს მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. ანუ, დემოკრატიაც გვაქვს და თავისუფლებაც. გინდ დაიჯერეთ და გინდ არაო, თორემ საჭმელ-სასმელი, პრაქტიკულად უფასო წყალი, გაზი თუ დენი, ყველას თავზესაყრელად გვქონდა!

ახლა? ესენი ისე „განაგლდნენ“, რომ საახალწლო სუფრაზეც კი გოჭ-ინდაური ხომ სანატრელი გაუხადეს ქართველების უმრავლესობას? ყველას ერთად გვეუბნებიან, – დიახაც, არც დემოკრატიაა, არც თავისუფლება. რასაც გვინდა, იმას გიზამთ! ჰოდა ჩვენი „ისამესა“ არც გოჭია, არც ინდაური, „დაჟე“ არც კიტრია, უბრალოდ ფალოსია და, გინდა არ გინდა კი არა, უნდა ჭამოთ და თან იძახოთ, იიფ, რა გემრიელიაო! თუ არა და თქვენი აჯობებს, მოვიდა გვერდებშიო!



**ჰოდა, ახია ჩვენზე, ახი, ქართველებო!!!**

**ეს რაც შეეხება „ამათი“ ზეიმების შინაარსს! ახლა ფორმებზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა...**

ჯერ იყო და, ლაპლანდიიდან ეს მერამდენედ სანტაკლაუსი ჩამოგვითესლეს, მაგრამ თუ ადრე, ისე, თუნდაც ყასიდად, ჩვენებურ თოვლის ბაბუასაც შეუწყვილებდნენ ხოლმე სანტას, წელს მსგავსი „სიაფანდობაც“ არ ჩათვალეს საჭიროდ. ჯერ ლაპლანდიელ არსებას (დიახაც არსებას, რადგანაც ვიზუალურად ბავშვს კი არა, დიდს გაუჭირდება იმის გარკვევა, ეს ჩამრგვალებული სანტა კაცია, ქალია თუ ორივე ერთად...) „მოაძოვინეს“ აქაურობა, სანტა! სანტა! აყვირეს ჩვენი შვილები და მხოლოდ ამის შემდეგ გამოაჩინეს სვანეთში გადამალული ჩვენი თოვლის ბაბუა!..



**თბილისიდან ვიდრე ბათუმამდე გამართულ საახალწლო ტაშ-ფანდურზე არაფერს ვიტყვი იმის გარდა, რომ, ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, ეს ე. წ. კონცერტები იმავე დონის უზნეობად მიმაჩნია, როგორიც 2008 წლის „გამარჯვების“ ზეიმი იყო რუსთაველზე.**

და კიდევ: როგორც ერთ, ისე მეორე უზნეო ტაშ-ფანდურაზე, ხელისუფლებასთან ერთად, ამ ყველაფრის მონაწილე ე. წ. „ხელოვანებსაც“ ეკისრებათ მორალური პასუხისმგებლობა და **როცა დრო მოვა, მაგათ იმის თქმა ველარ უშველით – რა მექნა, მომღერალი ვიყავი და ვიმღერეო!** ისტორიამ იცის ამის მაგალითები.

თუნდაც მარიკა როკი ავიღოთ, ვინც სილამაზით თუ წმინდა პროფესიული თვალსაზრისით, არაფრით ჩამოუვარდებოდა მეორე დიდ გერმანელ არტისტს მარლენ დიტრიხს, მაგრამ პირველი, სწორედ ფაშისტური რეჟიმის უპირობო (უფრო სწორად, ზოგიერთი ჩვენი „ხელოვნების“ მსგავსად, ერთადერთი – საკუთარი კეთილდღეობის პირობით...) ერთგულების გამო, ჰიტლერის კახპად უფრო არის ცნობილი, ვიდრე ნიჭიერ მოცეკვავე-მომღერლად. ხოლო მეორე, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი ქვეყნის ოკუპანტ ამერიკელ ჯარისკაცებს უმღეროდა, დიდი ხელოვანის სახელით შევიდა XX საუკუნის ისტორიაში.

**ეს ისე, როგორც იტყვიან, ცნობისთვის, ანუ გამგები გაიგებს...**

და ბოლოს, ამ ყბადაღებული განათების შესახებ, რადგან, **იმის მიუხედავად, რომ თბილისი ღამით მართლაც გაჩახჩახებულია, მასზე ვერაფრით იტყვი, რომ იგი სინათლის, სითბოს ქალაქია, სწორედაც რომ, ყოველივე ზემოთ თქმული უზნეობის გამო. არადა, უხსოვარი დროიდან, ანუ მაშინაც კი, როდესაც მხრჩოლავი ჭრაქი თუ ანათებდა ღამის წყვდიადს, ჩვენს ქალაქს „სახლი სიხარულისა“ შეარქვეს.**

მართლაც რომ გვეზეიმებოდეს, თბილისს არასოდეს მოუხდება ლონდონის, მოსკოვის, ნიუ-იორკის მსგავსი მეგაპოლისების იდენტური რაოდენობის „ლუქსებით“ განათება. ჩვენს ქალაქს განუმეორებელ ხიბლს, რომანტიკას, სწორედაც რომ, „როცა ჩაქრება ჭადრებში ლამპიონები ნათებას“-ს მსგავსი განათება სძენდა. ასე იყო მაშინაც, როდესაც, როგორც იტყვიან, ნაცები დაბადებულები კი არა, ჯერ პროექტშიც არ იყვნენ – მთაწმინდიდან გადაშლილ ღამის თბილისს არაერთი სტუმარი მოუყვანია აღტაცებაში სწორედაც რომ ჭადრებში მოციმციმე ლამპიონებით და არა დღეს „ლუსტრირებული“ რუსთაველით, რომლის ჩახჩახი, ჭადრებში მოციმციმე ლამპიონებისგან განსხვავებით, კი არ „გათბობს“, არამედ, როგორც პროჟექტორი, თვალს გჭრის და გაბრმავებს.

**თუმცა, ეს რომ გაიგო, იოსებ გრიშაშვილისა არ იყოს, „სიძველისადმი გრძნობა პატივი“ ოდნავ მაინც უნდა გიელვებდეს! მაგრამ ამას გაიგებენ ნაცები?**

**ეეჰ, რა ვიცი, მაინც ახალი წელია და ვისაც „ასეთი“ გეახალწლებათ, გილოცავთ! თუმცა, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ“?**

**დავით მხეიძე**

## ◉ პური ჩვენი არსობისა

# ეკონომიკური პოლუსები...

**...ანუ არათანაბარი სამეწარმეო გარემო, რომელზეც საახალწლო მილოცვაში პრეზიდენტი საუბრობდა, ზოგჯერ სახელმწიფოს მიერ გადადგმული მცდარი ნაბიჯებიდანაც გამომდინარეობს, სამწუხაროდ, ჩვენში თუ ბიზნესი სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი არ არის, განწირულია. რთული და გაუგებარი წეს-კანონებიდან დაზღვეული არავინაა.**

მაგალითისთვის: ორი წელია ჩვენს ქვეყანაში შეზღუდეს მზა ფქვილის შემოტანა, ეს იმ დროს, როდესაც საქართველო თავისი მოხმარების 20 პროცენტ ხორბალს არ აწარმოებს და მხოლოდ წელს შემოიტანეს შედარებით ნორმალური სათესლე მასალა, ისიც უმნიშვნელო რაოდენობით. ხოლო გადამუშავებულ ხორბალი, რომელიც ქვეყანას თითქმის 800 ათასი ტონა ესაჭიროება, ძირითადად იმპორტით შემოაქვთ.

ენერგომატარებლების სიძვირისა და საგადასახადო სირთულეების გამო, საკმაოდ ძვირი ჯდება ხორბლის საქართველოში გადამუშავება. ამას თავისთავად ემატება ხორბლის შემოტანების ინტერესებიც. ყოველივეს ამართლებენ და დეკლარირებენ ადგილობრივი მეწარმეობის ხელშეწყობით, თუმცა ვინც ამ საკითხებში ჩახედულია, იცის, მხოლოდ ერთი ჯგუფი, ვისაც შემოაქვს ხორბალი, მხოლოდ ის სარგებლობს ბიზნესის სიკეთით. ამ სფეროში მომუშავე ყველა დანარჩენი მეწარმე უკმაყოფილოა, რადგანაც შემოაქვთ შედარებით დაბალფასიანი და ყიდიან ძვირად (კონკურენტი არ ჰყავთ). ფქვილი კი არც ხარისხით და არც ფასით იმ მოთხოვნებს არ უპასუხებს.

მოდით, თვალი გავუსწოროთ სიმართლეს. თუ თურქული ფქვილი არ მოგვწონდა, ნებისმიერი მეწარმე დაადასტურებს, რომ რუსული, უკრაინული, ყაზახური, ხარისხით სტაბილურია და კონკურენციას უწევდა ადგილობრივს. ამიტომ ჩვენი წისქვილებიც ცდილობდნენ ხარისხიანი პროდუქტი ეწარმოებინათ. თუ კონკურენციაა და საბაზრო ეკონომიკაში ხელოვნურად ჩავერევით, შედეგები უარყოფითი იქნება. ამის დასადასტურებლად: მიუხედავად გამოცხადებული ეკონომიკური კრიზისისა რუსეთში, უკრაინაში, მოლდოვასა და აზერბაიჯანში, ფქვილის ღირებულება დღესაც ბევრად დაბალია, ვიდრე ჩვენში. ჩვენთან კი ზოგიერთი ჟურნალისტი, იმის მაგივრად, რომ გააანალიზოს ეს მოვლენა, კრიზისზე დაყრდნობით ამართლებს ფქვილის გაძვირებას. იმას კი ვერ ხვდებიან, რომ ამით დათვურ სამსახურს უწევენ სპეკულანტებს, რომელთა ფასები ყოველგვარ ლოგიკას სცილდება. თუმცა ხორბალსა და ფქვილში ბევრად მძიმე პერიოდები გავიარეთ, ასე უსაშველოდ მაღალი ფასები არ დაფიქსირებულა.

პური პირველადი კვების პროდუქტია, ამიტომ მას განსაკუთრებულად უნდა ეპყრობოდნენ.

**მერაბ ჯოხაძე,**
**შოთა მარცვალაძე**

ვაი ჩვენს პატრონს!

# რაში გვჭირდება ბასის განცხადებაზე ბაასიო?!

## ნაცუმრავლესობის წარმომადგენელთა „უდრეკი პოზიცია“ და ერთი რამ იმათ საყურადღებოდ, ვისაც დასავლეთის ზეწოლის მეშვეობით საარჩევნო გარემოს შეცვლის იმედი აქვს

**რომ იტყვიან, ახალი წელი ხეირიანად დამდგარიც არ იყო, როცა ხელისუფლებამ 3 იანვარს გამოაჩინა „დემოკრატიული კლანჭები“ — სასტიკად დაარბია აფხაზეთის და ცხინვალის ომების ვეტერანთა აბსოლუტურად აპოლიტიკური, მშვიდობიანი შიმშილობის აქცია გმირთა მოედანზე.**

სულაც არ ვაპირებ ამ ამაზრზენი ფაქტის დაწვრილებით აღწერა-გახსენებას, ისედაც ყველამ ყველაფერი ვიხილეთ „კავკასიის“ თუ „მაესტროს“ ტელეეთერებით, რაც „შეუმჩნეველი დარჩათ“ ე. წ. სამთავრობო ნაციონალურ არხებს. თუმცა ეს უკანასკნელი სულაც არ მიკვირს, რადგან ყველაფერი რომ ეჩვენებინათ, ეს ყოველივე დისონანსში იქნებოდა სამთავრობო არხების მიერ პროპაგანდირებულ, თბილისიდან ვიდრე ბათუმამდე და უფრო „ზევით“, მესტიამდეც გაგრძელებულ უგვან შოუებთან მიმართებაში, რომლებიც შეიძლება საერთო სახელწოდებით მოვნათლოთ — რა მაგარ ქვეყანაში ვცხოვრობთ, ცხოვრება მშვენიერია და ა. შ., რის წარმოჩენასაც ცდილობენ ევროპიდან „ოთუსბირად“ გამოწერილი ანდრეა ბოჩელებით თუ მისი შედარებით იაფფასიანი ადგილობრივი „კოლეგების“ მეშვეობით.

მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ გმირთა მოედანზე ვეტერანების დარბევის ფაქტს თვით აშშ-ის ელჩი მისტერ ჯონ ბასიც კი გამოეხმაურა, თანაც ნაციონალებისთვის უთუოდ არა გულგასახარად: **„...შეშფოთებული ვარ, რომ პოლიციამ პროტესტის გამომხატველთა მიმართ ძალა გამოიყენა. რა თქმა უნდა, ძალადობა არ უნდა იყოს გამოყენებული პროტესტის გამომხატველი ადამიანების წინააღმდეგ. ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს დემოკრატიულ ქვეყანაში“.**

და სწორედ ამის მერე მინდა გავიხსენო რამდენიმე დღით წინანდელი ამბავი და ვთქვა ის, რამაც ამაღებინა კიდეც კალამი.

ბასის ამ განცხადებით „შეიარაღებულმა“ ქართველმა ჟურნალისტებმა ე. წ. ნაცუმრავლესობის წევრებს მიაკითხეს კომენტარებისთვის. ალბათ, ეგონათ (?!) რომ ისინი ამერიკის ელჩის განცხადების ფონზე, მეტ-ნაკლებად მაინც დაგმობდნენ ამ უგვან აქტს, მაგრამ პასუხად მოისმინეს ისევ „ძველი სიმღერები“ ცნობილი ოდიოზების ნუგზარ წიკლაურის, ზურაბ მელიქიშვილის თუ სხვათა შესრულებით.

რა თქმა უნდა, ე. წ. რუსული კვალიც აღმოაჩინეს, თავის დროზე იმავე რუსული არმიის წინააღმდეგ (თუნდაც ტამიშის ბრძოლა გავიხსენოთ...) მებრძოლი, დღეს ყველასგან მივიწყებულ-მიგდებული ვეტერანების აქციაში. კიდევ კარგი, რომ „პადოშა“ არ იყო (რუსული აგრესიის დასამტკიცებლად, ამერიკის მწვერვალებზე აპირებს წერილების ატანას), თორემ რუსული კვალი მერე უნდა გენახათ!

არც ეს იკმარეს ამ ე. წ. „ხალხის რჩეულმა“ დეპუტატებმა! ვახტანგ ბალავაძემ (აფსუს რა კაცის სახელს აფუჭებს?..), ეს რას ჰგავს, როგორ შეიძლება საერთოდ იმ წმინდა ადგილზე კარვების და „ლეჟანკების“ გაშლა, ეს ხომ ჩვენი გმირების შეურაცხყოფააო, თანაც ობელისკთან იკმაყოფილებდნენ ბუნებრივ მოთხოვნებსო და აბა რა ეგონათო!

რა უნდა თქვას კაცმა ამ ტუტუცის ტუტუცობაზე? ჯერ ერთი იქვეა, იმ ობელისკის საპატიო ყარაულის ჯიხური, რომელსაც ტუალეტიც აქვს, რასაკვირველია, მაგრამ ბალავაძის ის განცხადება ხალხის გარკვეული ნაწილისთვის იყო გაკეთებული, რამაც მეტ-ნაკლებად იმუშავა კიდეც. ან, თუ არ იმუშავა, ნაცებმა „ამუშავეს“, რისი დასტურიც იყო აშკარად ხელისუფლების მიერ პროვოცირებულ-წახალისებული ე. წ. შვილმკვდარი დედების პროტესტი — არ გვინდა და ვგმობთ ჩვენი შვილების ხსოვნის პოლიტიკურ მიზნებით გამოყენებასო! დაახლოებით ეს განაცხადებინეს რამდენიმე ომში დაღუპულის ჭირისუფალთ.

დიახ, განაცხადებინეს, რადგან მსგავსი „გულწრფელი აღშფოთება“ ადრეც ბევრი გვინახავს და მოგვისმენია თუნდაც იგივე აგვისტოს ომში დაღუპულების ზოგიერთი ჭირისუფლისგან, რომლებიც აპროტესტებდნენ ამა თუ იმ ოპოზიციონერი პოლიტიკოსის უბრალოდ მისვლასაც კი მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე.

რას იზამ, ასეთებიც არიან და მომიტევოს იმ მრავალმა შვილ, ქმარ თუ ძმამკვდარმა ჭირისუფალმა, ვისაც ეს არ ეხება და არც არასდროს შეეხება!

**ისე ვახტანგ ბალავაძეს (და არა მარტო მას) მინდა ვუთხრა — ის არ იყო გმირების შეურაცხყოფა, დაღუპული ბიჭების სურათები მართლაც ლამის ჩეჩმაში რომ მოისროლეს? სხვათა შორის, ვეტერანების პროტესტს თუ ჰქონდა პოლიტიკური სარჩული, მიზეზი ალბათ ესეც იყო.**

და ბოლოს, ამ ყველაფერს ერთი, ნიშანდობლივი დატვირთვაც აქვს — ვეტერანების აქციის დარბევით, ხელისუფლებამ ისიც გვითხრა, რომ არანაირ გადემოკრატებას არ აპირებს და, თუ ბევრს „გაუტრაქტორებენ“ დასავლეთიდან, ამერიკასა და ევროპასაც ფეხებზე დაიკიდებენ.

ეს ისე, ცნობისთვის და იმათ საყურადღებოდ, ვისაც დასავლეთის ზეწოლის მეშვეობით საარჩევნო გარემოს შეცვლა ეიმედება.

**დავით მხეიძე**

ვისთვის როგორ

# სიმბოლო?!

ტელევიზიით გამოსვლისას უმრავლესობის წევრებმა მელიქიშვილმა და წიკლაურმა დაუშვებლად მიიჩნიეს სახელმწიფო სიმბოლოების შეურაცხყოფა და ამით გაამართლეს სოციალურ საკითხებზე ვეტერანთა საპროტესტო აქციების დარბევა და ცემა-ტყეპა (გმირთა მოედანზე).

დიდი ბოდიში, მაგრამ ქუთაისის აფეთქებული ძეგლი და ორი ადამიანის სიცოცხლე სიმბოლოების ნგრევას არ შეეწირა? რა არის ცოცხალ ადამიანზე დიდი სიმბოლო? ვინც ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას თავი შესწირა, ფეხი ან ხელი დაკარგა, თავისი ჯანმრთელობა შეალია მშიერი დატოვო და ტაშ-ფანდურაში ხარჯავდე სახელმწიფო სახსრებს, ამაზე დიდი „სიმბოლოს შეურაცხყოფა“ რა არის?!

**რევაზ ხარაძე,**
სამამულო ომის ვეტერანი

„ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა“

# წარმოაჩენენ ქართული ეთნოლოგიური სკოლის მიღწევებს



**საზოგადოებამ ახლახანს ფართოდ აღნიშნა გამოჩენილი ეთნოლოგის, ქართული ეთნოლოგიური სკოლის ფუძემდებლის, აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას დაბადებიდან 120 წლისთავი.**

ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში გამართული სამდღიანი სამეცნიერო კონფერენციის გარდა განხორციელდა ღირსშესანიშნავი საიუბილეო ღონისძიებები. საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა ინგლისურ ენაზე გამოსცა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. **თამილა ცაგარეიშვილისა** და რუსეთის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსის **ზურაბ წერეთლის** სქელტანიანი, უხვად ილუსტრირებული მონოგრაფია **„საქართველო. ეთნოკულტურული მემკვიდრეობა“**, რომლის რუსულენოვანმა ვარიანტმაც ჯერ კიდევ 2004 წელს იხილა მზის სინათლე (ინგლისურენოვანი რამდენადმე განსხვავებულია რუსულთან შედარებით). მონოგრაფია კრიტიკულად ეფუძნება აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას შრომებს და ქართველი ეთნოლოგების გამოკვლევათა შედეგებს. მასში წარმოჩინებულია ქართული კულტურის წარმოშობა, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შემონახული სამეურნეო, მატერიალური, სულიერი კულტურისა და სოციალურ მოვლენათა ეთნოსპეციფიკა, მათი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა და აღმოსავლეთის ძველ ხალხებთან კულტურულ-გენეტიკური ნათესაობა.







წიგნს ერთვის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლის ქართული ეთნოგრაფიის მოტივებზე შექმნილი ნახატები. ცნობისთვის: ზურაბ წერეთელმა, როგორც ხელოვანმა, ფეხი აიდგა გიორგი ჩიტაიას საველე-ეთნოგრაფიულ ექსპედიციებში მუშაობისას. ქართველი ხალხის ეთნოკულტურული მემკვიდრეობა ამ მონოგრაფიაში წარმოდგენილია ეთნოლოგისა და მხატვრის ერთობლივი შემოქმედებით. ამ შესანიშნავი კრებულით ინგლისურენოვან მკითხველს ხელისგულზე ეშლება საქართველოს წარსული ყოფის მართალი სურათი, თუ ვინ ვართ ქართველები, საიდან მოვდივართ, რა საგზლით მოვდივართ და საით მივდივართ.

ეთნოლოგ თამილა ცაგარეიშვილის და მხატვარ ზურაბ წერეთლის „ტანდემი“ შემთხვევით არ შემდგარა. ამ წყვილმა რამდენიმე წლის წინათ მეცნიერული და მოქალაქეობრივი გმირობა ჩაიდინა — ხორცი შეასხა აკადემიკოს გიორგი ჩიტაიას შრომების სრულ აკადემიურ გამოცემას (დაისტამბა დიდებული, შესანიშნავად ილუსტრირებული 5 ტომი). პროფესორ თამილა ცაგარეიშვილის მიერ წლების მანძილზე შეკრებილი და რედაქტირებული ტექსტები დაასურათა და გამოცემა დააფინანსა ზურაბ წერეთელმა.

გ. ჩიტაიას საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა დაიწყო მეცნიერულ-პოპულარული სერიის **„ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურის“** გამოცემა.

ქართველი ხალხის იერსახეს, კულტურას ყოფითი ტრადიციები და ეთნოგრაფიული თავისებურებები განაპირობებს. თანამედროვე პერიოდში შეირყა ტრადიციული კულტურის ცხოვრების წესი, საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული ქართული ეთნიკურობის მახასიათებელი თვითმყოფადობა, ზნეობა, ეთიკა. გაივლის ხანი და „ქართველური ყოფიდან“ არაფერი დარჩება. ეს კი სასიცოცხლო ძალების, მისი თვითშეგნებისა და შინაგანი ბუნებათვისებების განადგურების ტოლფასია.

სერიის გამოცემის მიზანია თავი მოუყაროს, დაიცვას, პოპულარიზაცია გაუწიოს საქართველოს ყველა კუთხის ეთნოგრაფიულ მონაპოვარს, მდიდარ ქართულ კულტურას, ქართველი კაცის ნიჭითა და ხელოვნებით შექმნილ მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებს, რომლებიც წარმოაჩენს ქართული ეთნოსის ნაციონალურ სიმდიდრეს, მიღწევებსა და ადგილს მსოფლიო კულტურის საგანძურში. პროექტის ავტორი ისევ და ისევ პროფესორი თ. ცაგარეიშვილია, სერია გამოდის სახალხო მხატვრის ზურაბ წერეთლის ფინანსური მხარდაჭერით.




სერია იწყება აკადემიკოს **მარიამ ლორთქიფანიძის** განმაზოგადებელი ნაშრომით „რამ გადაგვარჩინა“, სადაც მეცნიერული სიზუსტითაა გაანალიზებული მცირერიცხოვანი ქართველი ხალხის მიერ განვლილი მძიმე გზა და ფაქტორები, რამაც გადაგვარჩინა. უკვე გამოვიდა **თამილა ცაგარეიშვილის „ქართველები“, თინა ოჩიაურის „ქადაგობა ხევსურეთში“, ნანა ხაზარაძის „სამხრეთ კავკასია და ახლო აღმოსავლეთი, კულტურული ტიპოლოგიური პარალელები“, დავით მუსხელიშვილის „ქართველთა წარმომავლობა“, როინ მეტრეველის „ღალატი და ერთგულება, კომენტარი ალექსანდრე ორბელიანის მოგონებაზე მამის — ვახტანგ ორბელიანის შესახებ“, ჯულიეტა რუხაძის „პურის კულტი საქართველოში, საველე ჩანაწერები“, ლია მელიქიშვილის „ეთნოგრაფიული ველი“, ირაკლი სურგულაძის „ტყავის სიმბოლიკა და ტყაოსნის მითოლოგიები ქართულ მითოსში“.**

ისინი მკითხველს დასაბუთებულად, მეცნიერულად აკვალიანებენ, რომ ქართველები მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი კულტურული ერია, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ძირძველი მოსახლეობა, ე. წ. დიდი, ანუ პირველადი ევრაზიული რასის წარმომადგენლები არიან, კერძოდ, განეკუთვნებიან სამხრეთევროპეიდული განშტოების წინააზიურ ანტროპოლიგიურ ტიპს. ქართული სახელმწიფოებრიობის არსებობის სამ ათასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში ქართველები, რომელნიც ისტორიით ტერიტორიის სიდიდითა და რიცხოვნობით არ გამოირჩეოდნენ, თავგანწირვით იბრძოდნენ დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად. ამ თავგანწირვასთან ერთად გადაგვარჩინა გეოგრაფიულმა მდებარეობამ ევრაზიაში. ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე მდებარე საქართველო აღმოსავლელ-დასავლელ თუ სამხრეთელ და ჩრდილოელ დამპყრობელთა ინტერესების სფეროში მოდიოდა. არც ერთი არ სურდა მისი დათმობა, რასაც კარგად იყენებდნენ ჩვენი წინაპრები. ქრისტეშობამდე პირველ ათასწლეულში ქართველებს უკვე ჰქონდათ დიდი ქალაქები, სადაც ცხოვრება დუღდა, განვითარებული იყო ვაჭრობა, ხელოსნობა, იჭრებოდა ფული...

სერიით „ქართველი ხალხის ტრადიციული კულტურა“ გამოცემული ნაშრომები დაწერილი პოპულარული ენით, სადად, იოლად აღსაქმელად, რასაც წარმოდგენილ ავტორთა მაღალი პროფესიონალიზმი და მეცნიერული დონე განაპირობებს.

სერია კიდევ მრავალ საინტერესო გამოცემას გვპირდება, რისთვისაც მადლობა პროექტის ავტორს პროფ. თამილა ცაგარეიშვილს და მისი წამოწყებების ფინანსურ მხარდამჭერს ბატონ ზურაბ წერეთელს.

საიუბილეოდვე ეროვნულმა სამეცნიერო ბიბლიოთეკამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით, სერიით „ქართველი მეცნიერები“ გამოსცა გიორგი ჩიტაიას ბიობიბლიოგრაფია. „ამის შესახებ მკითხველს ცალკე მოვუთხრობთ“.

**სანდრო ალექსიძე**

მშიერი ფანტაზია

# ჩვენ ვხარჯავთ, ხელისუფლება გვჩუქნის

## ილუზიები საახალწლოდ, თანაც უპურყველოდ...

**ყველა ეპოქასა და დროში, ანტიკურ საუკუნეებშიც და ოცდამეერთეშიც, სააკაშვილის ამ ქვეყნად მოვლინებამდე და მას მერეც, განსაკუთრებით კი საახალწლო დღეებში, ადამიანები თავს იქცევდნენ უკეთესი მერმისის ილუზიების თხზვით, რასაც სადღესასწაულო პურ-ღვინოს ნუგბარივით აყოლებდნენ. ყველა იმათგან გამორჩეულად სააკაშვილის ხელისუფლებამ, როგორც ყოველთვის, შეუძლებელი შეძლო და საკუთარ ხალხს საახალწლოდ ილუზიებით სავსე ხონჩა შესთავაზა, ოღონდ მშრალად, უღვინოდ და უპურყველოდ.**

რა თქმა უნდა, თავისუფლად შემეძლო მეთქვა (და ვერავინ გამამტყუნებდა), საახალწლოდ საქართველოს ხელისუფლებამ ხალხი მორიგი ნამყენი ტყუილებით დააპურა-მეთქი, მაგრამ თავს პატივი დავდე და მთავრობის საშობაო-საახალწლო მადის გაფუჭებას შეგნებულად მოვერიდე. მით უფრო, რომ პრემიერმა ნიკა გილაურმა 2011 წლის დადგომამდე რამდენიმე დღით ადრე გარისკა, შეიძლება ითქვას, თავი გაწირა ხალხისთვის და თითოეულ ოჯახს დენის გადასახადის საფასურად 20-ლარიანი ვაუჩერების ჩამორიგებას შეპირდა. იქვე განმარტა, ჩვენი ხალხის კეთილშობილების ამბავი რომ ვიცი, ბევრი შეძლებული ოჯახი მის კუთვნილ ვაუჩერს შედარებით გაჭირვებულ მეზობელს უწყალობებს და მოსახლეობის უმეტესობა ზამთარს ისე გადააგორებს, ვერც კი გაიგებსო. გილაურს ჯერჯერობით არ გაუმჟღავნებია, რომ წყლისა და ნაგვის ვაუჩერების „ავტორობასაც“ აპირებს (ეს სარწმუნო წყაროდან შევიტყვე), ალბათ, იმ მოტივით, რომ ამდენი საჩუქრისგან მოსახლეობა ერთბაშად არ დაინფარქტდეს(!).

თუმცა, ვფიქრობ, პრემიერი გადამეტებულ სიფრთხილეს იჩენს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის დროზე, წინასაარჩევნო სეზონების დადგომისას, იმდენი დიზელის საწვავის, შეშისა და ფქვილის ვაუჩერები ურიგა შეცივნულ და დამშეულ ხალხს, რომ გილაური მას (ხალხს), როგორც არ უნდა ეცადოს, ვეღარანაირი საჩუქრებით ვეღარ დააინფარქტებს. ეგ კი არა, ხანდახან მეჩვენება ხოლმე (შეიძლება ასეც არის და არაფერიც არ მეჩვენება), რომ მთავრობა შიგადაშიგ სპეციალურად ზრდის დენის, გაზის, წყლის და სხვა სახის კომუნალურ გადასახადებს, რათა ხალხი ხარჯვას მიაჩვიოს (კომუნისტები, პირიქით, მომჭირნეობას აჩვენებდნენ) და შესაძლებლობა მიეცეს, ის რაც შეიძლება მეტი და მეტი ვაუჩერებით ასაჩუქროს.

აგაშენათ ღმერთმა! მთელი სიცოცხლე რომ იფიქროთ, უკეთეს ფუნქციას, ვიდრე დამშეული ხალხის საჩუქრებით მოსყიდვაა, ვერ შესთავაზებთ ხელისუფლებას. მთავრობის ამ დიდსულოვნებას უმალ აუღო ალღო „ლიბერთი ბანკის“ ხელმძღვანელობამ, რომელმაც ქუჩებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში გამოკრული მოსწრებული რეკლამის („თქვენ ხარჯავთ, ჩვენ გჩუქნით!“) წყალობით უთვალავი კლიენტი მიიზიდა.

აბა როგორ, ჩვენ (ხალხმა) უნდა ვხარჯოთ და ვხარჯოთ, მთავრობა და „ლიბერთი ბანკმა“ კი — გვასაჩუქრონ და გვასაჩუქრონ. მე თქვენ გეტყვით, ქვეყანაში ეკონომიკა ჩავარდნილი გვაქვს და ხელისუფლებას საჩუქრებზე ხელი არ მიუწვდება. გასულ წელსაც კი, როცა მთელი მსოფლიოს ეკონომიკა გლობალური კრიზისით იყო გათანგული, საქართველოს ეკონომიკა შეუფერხებლად, მყარად და მდგრადად იზრდებოდა (მატებამ დაგეგმილი 2-3 პროცენტის ნაცვლად 6,5 პროცენტი შეადგინა). ასეთი სარეკორდო მაჩვენებლის მქონე მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება კვეხნით გასკდებოდა, ჩვენი მთავრობა კი, უბრალო ფაქტის აღნიშვნით შემოიფარგლა: „2009 წელი იყო კრიზისული, თქვა ნიკა გილაურმა, 2010 — პოსტკრიზისული, ხოლო 2011 წელი იქნება სტაბილურობის წელიო“. ეს არის და ეს, რაც მან მოკრძალებით გვამცნო. ერთადერთი, რითაც ბატონი პრემიერი შედარებით უკმაყოფილო გახლდათ, ინვესტიციების შემცირება და ინფლაციის ზრდაა, თუმცა უსაშველობა და გულგატეხილობა არც ამ სფეროებში შეინიშნება.



როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, შავი ზღვის გამორჩეულ მარგალიტებს — ქობულეთსა და ანაკლიას ულტრათანამედროვე სასტუმროებისა და ინფრასტრუქტურის ასაშენებლად ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორები კალიფორნიული კალიებივით შეესივნენ. რაც შეეხება ქვეყანაში ფასების კატასტროფულ მატებასა და ინფლაციის შემოტევას, არც ეს შეიძლება აღვიქვათ დიდ უბედურებად. პირიქით, თუ ინფლაციას სამთავრობო თვალით შევხედავთ, შეიძლება ის ეკონომიკის ზრდის სტიმულატორადაც კი მივიჩნიოთ. როგორ და რანაირად? სულ მარტივად. ნათქვამია, ტარანი ანგარიშით არისო და სულაც არ გაემტყუნება ხელისუფლებას, თუ ის ფასების ყოველდღიური ზრდით მიღებულ შემოსავლებს ბიუჯეტის და საერთოდ ქვეყნის ეკონომიკის ზრდის მაჩვენებლად მიითვლის. მაგრამ მომხმარებელი რომ ზარალდება? რით ვანუგეშოთ ჯიბეგაფხეკილი საქართველოს მოქალაქე, რომელმაც წლეულს საახალწლო ინდაურში შარშანდელთან შედარებით 20-30 ლარით მეტი გადაიხადა და რომელსაც ინფლაცია სიცოცხლის წართმევით ემუქრება? თქვენ მოხერხება თქვით, თორემ გამოსავლის მოძებნა ყოველთვის შეიძლება. მით უფრო ამ სფეროში, როცა ყველა მაღალგანვითარებულ ქვეყანაში მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების ზრდა დადებით ფაქტორად აღიქმება. მეტს ხარჯავ, ესე იგი უკეთესად ცხოვრობ — ასე ფიქრობენ მსოფლიოს წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში და საქართველო, პლანეტის უპირველესი რეფორმატორი სახელმწიფო, გამონაკლისად რატომ უნდა ჩაითვალოს?!.

ხელისუფლებას თავმდაბლობა ჰყოფნის და ამას საჯაროდ, ღიად და გამჭვირვალედ არ აცხადებს, მაგრამ ჩვენ ხომ უნდა მივუხვდეთ სათქმელს? მით უფრო, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი მიღწეულს არ სჯერდება და საახალწლოდ ეკონომიკის ახალი კურსის განხორციელებას ლამობს. თუმცა რად გინდა, თავიც რომ მოიკლა მუშაობით, უმადურ, ერთთავად მოჩხიკინე ოპოზიციას რაიმეს დაანახვებ?

— რას ნიშნავს ეკონომიკის ახალი კურსი? — ეჭვნარევი ღიმილით კითხულობს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტყოფილი ნოდარ ჯავახიშვილი და თავადვე უპასუხებს — არავინ უწყის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არავის განუმარტია, როგორი იყო ძველი კურსი და რა შედეგი მოუტანა მან ქვეყანას, არც ეს შეუჯამებია ვინმეს. ამიტომ ყველაფერი ეს პიარი და სისულელეაო, დასძენს ჯავახიშვილი. მისივე განმარტებით, მტკნარი სიცრუეა პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ 2010 წელი იყო აქტიური წელიწადი ქვეყნის ეკონომიკისთვის. როდესმე უთქვამს მას, რომ მთავრობას ჰქონდა ჩავარდნები? არასდროს. მიმაჩნია, რომ ყველა ციფრი, რასაც ხელისუფლება აქვეყნებს, არის ტყუილი და მანიპულირებულიო.

**აღარ ჩამოვთვლი ყველა იმ საახალწლო ტყუილსა თუ ილუზიას, რასაც ოპოზიცია ბრალად უყენებს ხელისუფლებას და პირადი კომენტარისგანაც თავს შევიკავებ, რამეთუ ბოლო წლებში დაგროვილი გამოცდილების წყალობით, მტყუან-მართლის გარჩევა მკითხველსაც შესანიშნავად ხელეწიფება. სხვა მიზეზიც მაქვს, როგორც უკვე ვთქვი, არ მინდა მთავრობას ჩემი უადგილო ჩხიკინით საახალწლო მადა წავუხდინო.**

ოთარ ხუციშვილი

საბანკო სექტორი

# კრიზისის ახალი ტალღის მოლოდინი

**ექსპერტები, ევროპული სახელმწიფოების მაღალი რანგის მოხელეები, ვარაუდობენ, რომ ევროს მოხმარების ზონის ქვეყნებში 2011 წლის პირველ ნახევარში ფინანსური კრიზისის ახალი ტალღა დაიწყება. გამოთქვამენ აზრს, რომ თავად ევროვალუტას გაცილებით მეტი პრობლემა აქვს, ვიდრე მისი მიმოქცევის ზონის ქვეყნების შიგნით არსებული პრობლემებია.**

აღნიშნავენ, რომ ევროს მომხმარებელი ქვეყნები კრიზისის ახალ შეტევას თავს ვერაფრით დააღწევენ, თუკი მათი მთავრობები თავიანთი საბანკო სისტემის სუბიექტებს მრავალმილიარდიან დახმარებას არ გაუწევენ. საქმე ის არის, რომ ევროპის ბანკებს ძალიან დიდი მოცულობის ვალდებულებების დაფარვის პრობლემა წარმოეშვათ, რომელთა დასაფარავად უზარმაზარი კაპიტალია საჭირო. თავის მხრივ, ეს გარემოება მთლიანად ევროპული საყოველთაო საბანკო კრიზისის დაწყების საფრთხეს წარმოშობს. ექსპერტები ასევე ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ევროპის საბანკო სისტემა სტრუქტურულ რეფორმებს საჭიროებს, რათა ევროს ზონა, ბოლოს და ბოლოს, ხეირიანად ამუშავდეს, რომელიც თავიდანვე ხარვეზებით შეიქმნა.

ყოველივე ამას ამდენ ყურადღებას იმიტომ ვუთმობთ, რომ ევროპაში ფინანსურ-საკრედიტო კრიზისის სავარაუდო აგორების პირობებში, როცა ბანკები ახალი პროექტების დაკრედიტებას „ხელს მოუჭერენ“, საქართველოში ახალი უცხოური ინვესტიციების საგრძნობი ნაკადის შემოდინება, რასაც თუნდაც ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება მოითხოვს, ნაკლებადაა მოსალოდნელი.

გარდა ამისა, ექსპერტები იმასაც აცხადებენ, რომ ეკონომიკაში ახალი ფინანსური ნაკადების მოსაზიდად ბანკებისთვის გლობალური კონსტიტუციის შექმნაა აუცილებელი, რაც მათ საშუალებას მოუსპობს „ჩრდილოვანი ბანკების“ შექმნით, ანდა კაპიტალის ნაკლები ფინანსური კონტროლის მქონე ქვეყნებში გადაზიდვით, მეტ სახსრებს მოუყარონ თავი საკუთარ სარდაფებში. ამავე დროს, ბანკები თავიანთი მოგების გაზრდას სხვა ხერხებითაც არ თაკილობენ, კერძოდ, განაკვეთის გადიდების გზით. უნდა ითქვას, რომ სამომხმარებლო და ბიზნეს-კრედიტების გაცემა როგორც ევროპაში, ისე საქართველოში არა კრედიტებზე მოთხოვნის შემცირებით, არამედ საპროცენტო განაკვეთის გაზრდის გამო შემცირდა. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტების უმეტესობის აზრით, ამით ეროვნული ეკონომიკის ისედაც უმდაბლესი ტემპის შენელება ხდება, რაც, თავის მხრივ, ქვეყანას კიდევ უფრო მაღალი ფინანსური რისკების წინაშე აყენებს. ზოგადად კი მაინც უნდა აღინიშნოს, რომ საპროცენტო განაკვეთები გლობალურ ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისამდეც იზრდებოდა, მაგრამ ეს ტენდენცია სწორედ ამ კრიზისის პერიოდში უფრო ინტენსიური და, შესაბამისად, მეტად შესამჩნევი გახდა.

აქვე ერთი, ჩვენი აზრით, ერთობ საგულისხმო გარემოებაზე გვინდა შევჩერდეთ. საბანკო ექსპერტების აზრით, საქართველოში საბანკო მომსახურებაზე სხვა ქვეყნებთან შედარებით ნაკლები მოთხოვნა იმითაცაა განპირობებული, რომ ქვეყანაში დამოუკიდებელი საბანკო სისტემის შექმნის დროიდან მოყოლებული, ამ სექტორის სწრაფად განვითარების პარალელურად მოსახლეობისთვის სათანადო ფინანსური განათლება არავის მიუცია, რამაც გარკვეულწილად შეაფერხა ბანკების მომსახურებით, მათ შორის კრედიტებით სარგებლობის პრაქტიკის ფართო მასშტაბით დანერგვა.

ეროვნული საბანკო სექტორის მთელი რიგი ხარვეზის მიუხედავად, გასული წლის მიწურულს ლონდონის „ფაინენშენელ თაიმს გრუფმა“ და ჟურნალმა „ბანკირმა“ ყოველწლიური საბანკო რეიტინგი გამოაცხადეს. აღნიშნული ჯგუფი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საბანკო სექტორის ანალიზს ატარებს და საუკეთესო ბანკების ნუსხას ადგენს. „ფაინენშენელ თაიმს გრუფმა“ შარშან 149 ქვეყნის დაახლოებით 500 ბანკი განიხილა, რომელთა შორის „წლის საუკეთესო ბანკად“ საქართველოში უკვე მეხუთედ „თიბისი ბანკი“ დაასახელა, რაც ეროვნული საბანკო სექტორის კარგ პოტენციალზე მიგვანიშნებს.

ოთარ ტურაბელიძე

ვარაუდი

# უახლოესი 25 წლის განმავლობაში რუსეთი, შესაძლოა, რამდენიმე სახელმწიფოდ დაიშალოს



**უახლოესი 25 წლის განმავლობაში რუსეთი შესაძლოა რამდენიმე სახელმწიფოდ დაიშალოს, თუკი იგი თავის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას არ შეცვლის. ეს განცხადება პოლიტოლოგმა, აშშ-ს უსაფრთხოების ინსტიტუტის რუსული და აზიური პროგრამების დირექტორმა ნიკოლაი ზლობინმა** გააკეთა.

**„შიდა ნაციონალურ-ადმინისტრაციულ მოწყობაზე უარის თქმის გარეშე, რუსეთი უახლოეს ათწლეულში დაშლის რისკის ქვეშ დგას“,** — განაცხადა ზლობინმა.

„snob.ru“-ზე მიმდინარე დისკუსიის მსვლელობისას ექსპერტმა ყველას შეახსენა, თუ რატომ დაიშალა საბჭოთა კავშირი და გამოთქვა ვარაუდი, რომ ანალოგიური ბედი ელის რუსეთის ფედერაციასაც. ამასთან ერთად ზლობინმა აღნიშნა, რომ ამჯერად უკვე დაშლის პროცესი შესაძლოა წინანდელზე კიდევ უფრო მტკივნეული იყოს, კერძოდ, მისივე თქმით, არც სამოქალაქო ომია გამორიცხული.

„ყველას ახსოვს, რომ 1922 წლის 30 დეკემბერს შეიქმნა სსრკ — ფართობის მიხედვით მსოფლიოში ყველაზე დიდი სახელმწიფო. ეს იყო რუსეთის იმპერიის ტერიტორია, თუმცა ფინეთის გარეშე, პოლონეთის ნაწილისა და ზოგი სხვა ტერიტორიების გარეშე. მაგალითად ყარსის გარეშე, რომელიც დღეს თურქეთს ეკუთვნის. სამაგიეროდ — გალიციით, ზაკარპატიეთი, პრუსიის ნაწილით, ჩრდილოეთი ბუკოვინით, სამხრეთ სახალინით და კურილებით, რომლებიც, მართალია, არ შედიოდნენ ამ იმპერიაში, მაგრამ სხვადასხვა ეტაპებზე შევიდნენ სსრკ-ს შემადგენლობაში. 1922 წელს საბჭოთა კავშირი რუსეთის, უკრაინის, ბელორუსის და კავკასიის გაერთიანების წყალობით შეიქმნა“, — აღნიშნავს ექსპერტი და დასძენს, რომ ახალი სახელმწიფოს ადმინისტრაციული სტრუქტურა უკიდურესად ჩახლართული იყო და დაფუძნებული იყო შიდა ნაციონალურ და ეთნიკურ საზღვრებზე.

სსრკ საკავშირო რესპუბლიკებისაგან შედგებოდა — სხვადასხვა წლებში ოთხიდან თექვსმეტამდე, რომლებიც კონსტიტუციის მიხედვით სუვერენული სახელმწიფოები იყვნენ. რუსეთის შემადგენლობაში შედიოდნენ მხარეები, მხარეების შემადგენლობებში კი ავტონომიურ ოლქები. მხარეებისა და ოლქების შემადგენლობაში ასევე შედიოდნენ ნაციონალური ოლქები. ავტონომიური რესპუბლიკები და ოლქები კიდევ იყვნენ ხუთი რესპუბლიკის შემადგენლობაში — უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, უზბეკეთის და ტაჯიკეთის.

1991 წლის 26 დეკემბერს სსრკ-მა არსებობა შეწყვიტა. მისმა დაშლამ 15 დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა გამოიწვია, ასევე გაჩნდნენ რიგი წარმონაქმნები, რომლებიც დამოუკიდებელ სახელმწიფოებად მიიჩნევდნენ თავს.

**„ამას გახსენებთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ უკვე მორიგი წლისთავია ამ თარიღისა, არამედ იმიტომაც, რომ რუსეთის სახელმწიფო საბჭოს ბოლო სხდომაზე მოულოდნელად დადგა საკითხი ნაციონალური ურთიერთობების გამოცდილების შესახებ“,** — აღნიშნავს ზლობინი.

მისივე თქმით, რუსული ტანდემის ორივე წევრმა ამასთან დაკავშირებით თავისი აზრი გამოთქვა.

**„აქედანვე გიხდით ბოდიშს გრძელი ციტატებისთვის, მაგრამ ისინი მნიშვნელოვანია“,** — აღნიშნა ექსპერტმა.

ვლადიმერ პუტინი: **„საბჭოთა კავშირში ხომ არ არსებობდა პრობლემა ეროვნებათაშორის ურთიერთობებში. საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო და საერთო ეთნიკური და საერთო ნაციონალური მშვიდობა დაამყარა. არ არსებობდა ეს პრობლემები... რატომ? ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველი არის ის, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შეძლო და შექმნა ერთგვარი სუბსტანცია, რომელიც საერთო ეთნიკურ და საერთო ნაციონალურ ურთიერთობებზე მაღლა იდგა. სამწუხაროდ, იგი იყო და იდეოლოგიურ ხასიათს ატარებდა. ეს სოციალისტური იდეა იყო. მოიგონეს კიდეც რაღაც ახალი ადამიანების ერთობა — საბჭოთა ხალხი. ჩვენ დღეს ასეთი რამ არ გვაქვს. ჩვენ ვამბობთ: რუსები, რუსი ერი და ეს ის არ არის. ჩვენ ვერ შევძელით იმის ეკვივალენტის შექმნა, რომელიც საბჭოთა კავშირში იყო შექმნილი. ამავე დროს ვფიქრობ, რომ დიდი ძებნა და შორს წასვლა არ გვჭირდება. არის მხოლოდ ერთი, რაც ადრე არც თუ ისე ურიგოდ მუშაობდა, ეს — საერთო რუსული პატრიოტიზმია“.**

და შემდეგ: **„ჩვენ ახლახანს მივიღეთ გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ რეგისტრაცია, ვთქვათ ისეთ ქალაქში, როგორიცაა მოსკოვი, ინტერნეტის საშუალებით არის შესაძლებელი. როგორც ჩანს, ჩვენ ვიჩქარეთ ამ გადაწყვეტილების მიღება და ასეთი ლიბერალური ფორმით ადამიანებისათვის რეგისტრაციის უფლების მინიჭება. მეტიც, უნდა ავამაღლოთ პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული რეჟიმის დარღვევისათვის მათ შორის, შესაძლოა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობამდეც“.**

დიმიტრი მედვედევი: **„ახლახანს ვლადიმერ ვლადიმერის ძემ გაიხსენა საბჭოთა კავშირი, რომელმაც მართლაც ნახა თავისი სქემა ეროვნებათაშორისი მშვიდობის დასამყარებლად. შესაძლებელია თუ არა იმის გამეორება, რაც იყო საბჭოურ დროს? ჩვენ თქვენთან ერთად რეალური ადამიანები ვართ და გვესმის: არა, შეუძლებელია, იმიტომ რომ საბჭოთა კავშირი იყო სახელმწიფო, რომელიც იდეოლოგიაზე იყო აშენებული და ვთქვათ გულწრფელად — იყო ძალიან ხისტი სახელმწიფო. რუსეთი სხვანაირი ქვეყანაა, სწორედ ამასთანაა დაკავშირებული ჩვენი შესაძლებლობები და პრობლემები“.**

ნიკოლაი ზლობინი შეგნებულად არ აანალიზებს რუსეთის მთავარი პოლიტიკოსების მიერ გაკეთებულ განცხადებებს, ვინაიდან მიიჩნევს რომ მათი ნათქვამი თავად მეტყველებს თავის თავზე.

თუმცა, ნიკოლაი ზლობინი აცხადებს, რომ, უპირველეს ყოვლისა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ნაციონალური საკითხის გადაწყვეტისას წარმატებულად ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის მაგალითი.

**„არ გავიხსენებ ადამიანთა გადასახლებებს, მეხუთე პუნქტს პასპორტში ან ეთნიკური გაერთიანებების ვალუნტარისტულ შერწყმებს. საკმარისია გვახსოვდეს, რომ საბჭოთა კავშირი სწორედ ნაციონალურ საზღვრებზე დაიშალა და აბსოლუტურად ყველა პოსტსაბჭოთა კონფლიქტს ნაციონალური და ეთნიკური ხასიათი აქვს. რა თქმა უნდა საბჭოთა კავშირში იყო ნაკლები ქუჩური ნაციონალიზმი, ვიდრე ახლა, ვინაიდან კონტროლის სისტემა მოსახლეობაზე იქ ფუნდამენტალურად ტოტალიტარული იყო. სამაგიეროდ ეს იყო ქვეყანა სადაც ნაციონალური ინტერესები მთლიანად ექვემდებარებოდა პოლიტიკურ ამოცანებს და არა პირიქით. შედეგად საბჭოთა კავშირი თავად დაიშალა ნაციონალურ სახელმწიფოებად“,** — აცხადებს ზლობინი.

**მეორე** კი არის ის, რომ, აგრძელებს ექსპერტს — რევოლუციამდელი რუსეთი არ იყო წარმატებული მოდელი ნაციონალური ურთიერთობებისათვის. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი მისი კრახისა.

**მესამე** არის ის, რომ არ შეიძლება მთლიანად უთხრა უარი სსრკ-ს ნაციონალური სტრატეგიის პოზიტიური გამოცდილების არსებობაში. გამოვყოფდი ენობრივ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკურ პოლიტიკას, რომელშიც მართლაც იყო რაციონალიზმი და ჯანსაღი აზრი.

**„მიმაჩნია, რომ ეს გახდა კიდეც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი იმისა, რომ საბჭოთა კავშირი შედარებით მშვიდობიანად დაიშალა“,** — აცხადებს ზლობინი და დასძენს, რომ **„მეოთხე** არის ის, რომ რუსეთი დღემდე ინარჩუნებს რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ნაციონალურ-ადმინისტრაციულ მოწყობას, რაც მისი განვითარების თანამედროვე ეტაპს არა თუ მხოლოდ არ შეესაბამება, არამედ, ჩემი აზრით, არის კიდეც მისი მომავალი დაშლის საფუძველი, როგორც ეს მოხდა მეფის რუსეთისა და სსრკ-ს შემთხვევაში“.

**მეხუთე** — ექსპერტის აზრით არის ის, რომ ნაციონალური საკითხის გადაჭრისათვის რუსეთის შიდა ნაციონალურ გაყოფაზე სრული უარის თქმაა აუცილებელი.

**მეექვსე** — შიდამიგრაციული კანონმდებლობის გამკაცრებამ შესაძლოა ნაციონალური უთანხმოება გააღრმავოს.

**მეშვიდე** — შიდა ნაციონალურ დაყოფაზე უარის თქმის გარეშე რუსეთს აქვს ყველა შანსი, უახლოესი 25 წლის განმავლობაში დაიშალოს.

**„დაშლას ეტაპობრივი ხასიათი ექნება და თავდაპირველად გამოხატული იქნება ფედერალური კონტროლის შესუსტებით ეთნიკურ ტერიტორიებზე, არმიის ნაციონალური სტრუქტურის ცვლილებით, ასევე ნაციონალური მოძრაობებისა და განწყობილებების ზრდით“,** — აცხადებს ზლობინი.



ХО-ЭОВ-ЭНО

## დედამიწის ზურგზე



**ირანში ავიაკატასტროფის მსხვერპლთა რიცხვი 77-მდე გაიზარდა, იპოვეს ერთ-ერთი „შავი ყუთი“**

მთლიანად, დაზუსტებული მონაცემებით, ბორტზე 106 კაცი იმყოფებოდა. დაიღუპა ეკიპაჟის 12-ვე წევრი. მსხვერპლთა შორის არიან ერთი მოზარდი და ორი ჩვილი ბავშვი. დაჭრილი მგზავრები გადაიყვანეს საავადმყოფოებში, ბევრი მათგანი კრიტიკულ მდგომარეობაშია. მედიკოსები შიშობენ, რომ მსხვერპლთა რიცხვი შეიძლება გაიზარდოს.

* * *

**ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა დარტყმა მიაყენეს „ჰამასის“ ობიექტებს ღაზის სექტორში**



ისრაელის წარმომადგენლები იტყობინებიან ორი, პალესტინელი წყაროები კი — სამი საჰაერო დარტყმის შესახებ. დაფიქსირებულია ზუსტი მოხვედრები. მონაცემები დაზარალებულთა შესახებ არ არის. სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედებანი იყო ისრაელის ტერიტორიების ამასწინანდელი სარაკეტო-ნაღმსატყორცნო სროლების პასუხი.

* * *

**ტუნისში პოლიციასთან ახალგაზრდების ჯგუფების შეჯახების დროს 14 კაცი დაიღუპა**



ოთხი კვირის წინათ ქვეყანაში დაიწყო დემონსტრაციები საკვებ პროდუქტებზე ფასების ზრდისა და ზოგი პროდუქტის უკმარისობის წინააღმდეგ, მაგრამ ეს დემონსტრაციები დაპირისპირებაში გადაიზარდა, ერთი მხრივ, პოლიციასა და, მეორე მხრივ, მოსახლეობას შორის.

* * *

**საუდის არაბეთმა გასცა საერთაშორისო ორდერი ტერორიზმში 47 ეჭვმიტანილის დაპატიმრებაზე**



შინაგან საქმეთა სამინისტროს სიტყვებით, „ეს ხალხი მიზნად ისახავდა შეექმნა სამეფოს ტერიტორიაზე ტერორისტული დაჯგუფებანი და გადაებირებინა ქვეყნის მოქალაქეები, რათა შემდეგ გაეგზავნათ ისინი უცხოეთში სამხედრო მომზადების გასავლელად“. ეჭვმიტანილთა უმრავლესობა ამჟამად იემენში, ავღანეთში, ერაყსა და პაკისტანში იმალება.

* * *

**აშშ-ის სამხრეთში თოვლის გრიგალების გამო ასობით ავიარეისი გაუქმდა, ზოგიერთ შტატში შემოღებულია საგანგებო მდგომარეობა**

მისისიპის, ალაბამის, ჯორჯიისა და კაროლინის ორივე რაიონის ჩრდილოეთში ერთი დღე-ღამის განმავლობაში მოდის დაახლოებით 15 სანტიმეტრი თოვლი, მაშინ, როდესაც ამ შტატების სამხრეთ ნაწილში მოდის ინტენსიური ყინულის წვიმები. ყველაზე ექსტრემალური პირობები ელოდებათ მისისიპისა და ლუიზიანის ჩრდილოეთი ნაწილის მცხოვრებლებს.

ერის მეჭირნახულენი

*როგორღაც ხელში ჩამივარდა დმანისელი კაცის, გულმხურვალე მამულიშვილის, აწ გარდაცვლილი შალვა ადუაშვილის ხელნაწერი მოგონება 1980-იან წლებში რაიონში მიმდინარე მოვლენებზე, კერძოდ, ისტორიული ბედუკუღმართობით გვარშეცვლილი და ეროვნებადაკარგული რამდენიმე ათასი კაცისთვის ქართული გვარებისა და ეროვნების დაბრუნებაზე.*

*წაკითხულმა უდიდესი შთაბეჭდილება დატოვა.*

*შ. ადუაშვილის მოგონების ერთ-ერთი მთავარი მოქმედი გმირია ჩემი მეგობარი, ჩინებული არქეოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, 1981-2006 წლებში დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ჯერ ხელმძღვანელის მოადგილე, შემდეგ კი ხელმძღვანელი, ამჟამად დმანისის კულტურის ცენტრის დირექტორი, მრავალი მეცნიერული ნაშრომის ავტორი ჯუმბერ კოპალიანი.*

*დავუკავშირდი ჯუმბერს, აღმოჩნდა რომ ამ საკითხზე მასაც დაუწერია მოგონება და დაუბეჭდავს კიდეც ის-ის იყო გამოცემულ წიგნებში „კეთილი ჰქმენ“.*

*ჯუმბერის წიგნი, როგორც იტყიან, ერთი ამოსუნთქვით წაიკითხება, იგი უფრო მასშტაბურად, უფრო „მცოდნედ“ გვიამბობს სათქმელს, თუ როგორ, რანაირად მოხდა ის, რაც მოხდა დმანისში, შემდეგ კი სხვა რაიონებში. გასული საუკუნის 80-იან წლებში როგორ აღდგა ისტორიული სამართლიანობა, უნდა იცოდეს საქართველომ.*

*ვბეჭდავთ ჯუმბერ კოპალიანის მოგონებას, რომელიც შალვა ადუაშვილის მოგონებასაც ეხმიანება.*

*ალეკო ასლანიშვილი*

# ჩვენ ქართველობა ძველთაგან მოგვდევს...

## აღდგენილი ისტორიული სამართლიანობა, ანუ კარგი ეროვნული საქმე, რომელიც ყველამ უნდა იცოდეს

1980 წელს გადავწყვიტე ისტორიის ინსტიტუტიდან სამუშაოდ გადავსულიყავი არქეოლოგიური კვლევის ცენტრში. მართალია, საქართველოს ისტორიის სპეციალისტი ვიყავი, მაგრამ მიმაჩნდა, რომ არქეოლოგიურ ექსპედიციაში მონაწილეობა გამიადვილებდა საქართველოს ისტორიის კვლევას. ჩემი ეს ნაბიჯი განაპირობა აგრეთვე იმან, რომ მაშინ ჩართული ვიყავი ე. წ. დისიდენტურ მოძრაობაში, ქართული კულტურისა და ქართული მეობის დაცვის მებრძოლთა რიგებში. რადგანაც ვიცოდი, რომ ეროვნული თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე სიტუაცია ქვემო ქართლში იყო, გადავწყვიტე, უშუალოდ დმანისის არქეოლოგიურ ექსპედიციაში გადავსულიყავი, რათა შესაძლებლობა მქონოდა ქვემო ქართლში მიწის ზემოთა ქართული პრობლემებისათვისაც დამეთმო სათანადო ყურადღება.

დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი იყო დიდებული ქართველი კაცი, ნამდვილი ინტელიგენტი, დიდი პატრიოტი, შესანიშნავი მოქალაქე და პიროვნება, აწ განსვენებული ვახტანგ ჯაფარიძე. იგი დიდი სიხარულით შეხვდა ჩემს გადასვლას, რადგან იცოდა ჩემი საქმიანობის შესახებ.

ერთხელ, როდესაც ახალი გადასული ვიყავი, მაგრამ ჯერ დაწყებული არ იყო ახალი სეზონი არქეოლოგიური გათხრებისა, მომიწია დმანისში წასვლა ბ-ნი ვახტანგის თხოვნით. დმანისის ნაქალაქარის გარეუბნის სამაროვანზე ისტორიულ ძეგლად მიჩნეულ ადგილზე, იქაური მცხოვრებლები მიცვალებულის დაკრძალვას აპირებდნენ და საჭირო იყო მათთვის ამეხსნა, რომ არ შეიძლებოდა ამის გაკეთება. მე დმანისში ადრეც ვიყავი ნამყოფი, მაგრამ ქვემო ქართლს, კერძოდ, დმანისს კარგად არ ვიცნობდი.

როცა საქმე მოვაგვარე პატარა დმანისში, ქართულ სოფელში, სადაც 60-მდე კომლი ცხოვრობს, თბილისში წამოვედი ავტობუსით. დაახლოებით 3 კმ რომ გამოვიარე, ავტობუსში ამოვიდა ერთი ახალგაზრდა, რომელიც თბილისში მოდიოდა. იგი ჩემს გვერდით დაჯდა. რადგან ამ მხარეში უნდა მემუშავა, ყველაფერი მაინტერესებდა. ბუნებრივია, ვკითხე, საიდან ხარ-მეთქი, მითხრა, სოფელ მაშავერადანო. რა გვარი ხარ-მეთქი. მან წმინდა ქართულით მიპასუხა – ასლანიანცი ვარო. ჩემთვის ეს გასაოცარი იყო. გაკვირვებით ვკითხე, სომეხი ხარ-მეთქი? არა, ქართველი ვარო. ამან კიდევ უფრო გამაკვირვა. შევეკითხე, პასპორტში რა ეროვნება ეწერა. ეროვნება სომეხი მიწერია, მაგრამ ქართველი ვარო.

ეს იყო ჩემთვის, ჩემი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, ერთ-ერთი საოცრების აღმოჩენა.

გამოკითხვა გავაგრძელე. იგი მომიყვა, დმანისის რაიონში 5 სოფელია ასეთი – მაშავერა, უკანგორი, ვარდისუბანი, დიდი დმანისი და ბოსლები. ეს სოფლები მთლიანად დასახლებულია ქართველებით, რომლებიც სომხებად არიან ჩაწერილებიო.

ჩამოვედი თბილისში, შევხვდი ბ-ნ ვახტანგის, პასუხი მივუტანე ჩემი მივლინების თაობაზე და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში იმ ჩემი თანამგზავრისაგან მიღებული ინფორმაციის შესახებ დავიწყე საუბარი. ბ-ნ ვახტანგს ჩაეცინა, შეხედა ჩემს გაოცებულ სახეს და გადაწყვიტა, დაწვრილებით ემცნა ჩემთვის ამ საკითხის შესახებ.

დაახლოებით 1963-64 წელს, არქეოლოგიური გათხრების დროს, მასთან მისულა სოფელ მაშავერას მკვიდრი, იმჟამად უკვე თბილისში მცხოვრები სამსონ მოსეშვილი და მოუმართავს თხოვნით, დახმარებოდა მას და ამ სოფლის მოსახლეობას, რომ როგორმე აღედგინათ სამართლიანობა და დაებრუნებინათ ქართული გვარები და ეროვნება (იგი მაშინ, სომხურ გვარს ატარებდაძ. ბ-ნი ვახტანგი უყოყმანოდ დათანხმებია და აღუთქვამს დახმარება ამ საქმეში. მერე დაუწყია აქტიური მუშაობა, ჩაურთავს ამაში მეცნიერები – შოთა ლომსაძე და სხვები, და მოუმზადებიათ მეცნიერული დასკვნა, რომ ამ სოფლის მოსახლეობა წარმომავლობით ქართველები არიან და რომ სამართლიანი იყო მათი მოთხოვნა გვარებისა და ეროვნების აღდგენის შესახებ. ამ მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ ხელისუფლებას, რომელსაც ხშირად აწუხებდნენ ამ საკითხზე, გადაუწყვეტია, რომ კრება უშუალოდ სოფელ მაშავერაში ჩატარებულიყო, რათა ხალხის მსჯელობის საგანი გამხდარიყო ეს საკითხი. ჩატარებულა კრება. ამ საქმეში ძალიან აქტიური ყოფილა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, აწ გარდაცვლილი ანდრო მოსეშვილი (მაშინ მასაც სომხური გვარი ჰქონდაძ. ამ კრებას ესწრებოდნენ რაიონის ხელმძღვანელობის წარმომადგენლები თბილისიდან, შსს-დან, საპასპორტო განყოფილებიდან (სხვათა შორის, მაშინ შსს მინისტრი იყო ედუარდ შევარდნაძეძ, აგრეთვე მეცნიერები. ამ კრებაზე გადაწყდა, რომ ეს ყველაფერი სამართლიანია, მეცნიერულად დასაბუთებულია. აქვე შედგა სია 100 სრულწლოვანი პიროვნებისა, რომელთათვისაც უნდა დაებრუნებინათ ქართული გვარები (ეროვნებას ვერ შეეხნენძ. ამ



ჯუმბერ კოპალიანი (ზის) და შალვა ადუაშვილი.
დმანისი, 1980-იანი წლები.

გადაწყვეტილებას მაშინ დათანხმდნენ საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ძოწენიძე და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გივი ჯავახიშვილი.

ძალიან მოკლე ხანში ეს გადაწყვეტილება გააუქმეს. მიზეზი ის იყო, რომ ჩამოსულა სომხეთის კათოლიკოსი ვაზგენი, შესულა გივი ჯავახიშვილთან და ძალიან მკაცრად, მაგიდაზე ხელის ბრახუნით უთქვამს, როგორ ბედავთ ამის გაკეთებასო. ისინი სომხები არიან და სომხებად დარჩებიანო.

ერთი სიტყვით, ჩვენი მთავრობის, ხელისუფლების მესვეურებმა, რიგიანად რომ ვთქვათ, უკან დაიხიეს. მაგრამ ისეთი დრო იყო, რომ მთლად კატეგორიული არ უნდა ვიყოთ, მათ განსჯაში. ასე ჩაწყდა ეს საქმე.

აი, ეს მიამბო ბატონმა ვახტანგმა ჩემი „აღმოჩენის“ თაობაზე.

ჩემდა სამწუხაროდ, მე, საქართველოს ისტორიის სპეციალისტმა, არ ვიცოდი, ეს პრობლემა თუ არსებობდა საქართველოში. რაღა უნდა მოვთხოვოთ ჩვენს რიგით მოქალაქეებს. ამას, რა თქმა უნდა, ობიექტური მიზეზები ჰქონდა, მაგრამ გამართლება მაინც არ შეიძლება. ჩვენი ნაცნობი ისტორია, განსაკუთრებით XIX-XX საუკუნეებისა, ჩვენთვის დალუქული იყო.

როცა ეს ყველაფერი ნათელი გახდა ჩემთვის, რა თქმა უნდა, ძალიან აღვშფოთდი და მაშინვე დავიწყე ძალების მოკრება, ფიზიკური თუ სულიერი, რათა რაც არ უნდა დამჯდომოდა, ეს საქმე მომეგვარებინა. ჩემდა საბედნიეროდ, მაშინ დმანისში რაიკომის მდივნად ახალი დანიშნული იყო ახალგაზრდა კაცი ემზარ ბერიძე – ძალიან ჭკვიანი, გონიერი, განათლებული პიროვნება. მასთან შეხვედრის დროს მე წამოვჭერი საკითხი ამ მოსახლეობაზე. და აღფრთოვანებული დავრჩი ემზარ ბერიძის პოზიციით. მან მითხრა, რომ შეხვდებოდა შევარდნაძეს (ცკ-ის პირველ მდივანსძ და ამ პრობლემის თაობაზე მასთან დასვამდა საკითხს. ჩვენ მეორე საკითხიც მოვუმზადეთ, დმანისის ნაქალაქარისა და მისი გარეუბნის მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადების შესახებ.

მადლიერებით მინდა აღვნიშნო ედუარდ შევარდნაძის დადებითი გადაწყვეტილება მუზეუმ-ნაკრძალის გამოცხადებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება გვარებისა და ეროვნების აღდგენის საკითხს, მას ასე უთქვამს: „თქვენ თვითონ მოაგვარეთო“. ეს იმას ნიშნავდა, რომ იგი თანახმა იყო და ხელს არ შეგვიშლიდა. ეს იყო დიპლომატიური პასუხი.

დღევანდელი გადასახედიდან რომ ვუყურებ, ბევრი ისეთი პრინციპული ეროვნული საქმე გაუკეთებიათ ცკ-ის თუ რაიკომის მესვეურებს, რომ დღეს გაკვირვებას იწვევს ჩემში, როგორ გაბედეს იმ გარემოცვაში, იმ სიტუაციაში ამის გაკეთება. ამიტომ განსაკუთრებით მოვუწოდებ ყველას, რომ შეწყვიტონ ისტერიული გამოხდომები, რომლითაც საშწუხაროდ ხასიათდებოდა ჩვენი ეროვნული მოძრაობა წინა წლებში, როდესაც ერთი ხელის მოსმით შეურაცხყოფდნენ უკლებლივ ყველა კომუნისტ ხელმძღვანელს, იმათაც, რომლებსაც არა ერთი კარგი ეროვნული საქმე გაუკეთებიათ. არ შეიძლება პატრიოტულობის ნიშნით შევაფასოთ ესა თუ ის პიროვნება, ცოდვას ჩავიდენთ ღმერთისა და სინდისის წინაშე. მიუხედავად იმისა, რომ კომუნისტური, საბჭოთა იდეოლოგია ჩემთვის განუზომლად საძულველი იყო, მეგობრებად მყავდნენ რაიკომის მდივნები, რომლებთანაც ჩვენი სამშობლოს ტკივილი მაერთიანებდა. ამ ტკივილებზე ჩვენ ერთნაირად ვზრუნავდით იმ საშუალებებით და ხერხებით, რაც გაგვაჩნდა. ამ ადამიანებს არ უნდა დავუკარგოთ, რაც კი გაუკეთებიათ.

ახლა დავუბრუნდეთ ჩვენს ამბავს.

ემზარ ბერიძემ ვაჟკაცურად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, თუმცა იცოდა, რომ ეს საშიში იყო. მე და ემზარმა დავიწყეთ ფიქრი, როგორ დაგვეწყო ამ საქმის პრაქტიკული განხორციელება, ბევრი ვიმსჯელეთ, მრავალი ვარიანტი განვიხილეთ, ბოლოს კი ასე გადავწყვიტეთ: მაშინ მმაჩის უფროსად მუშაობდა სომეხი ეროვნების როზა მატეოსიანი, რომელიც გათხოვილი იყო ქართველ დევიჩრაშვილზე სოფელ განთიადში (სხვათა შორის ერთი საინტერესო რამ შევნიშნე – არქივებში, მმაჩის ბიუროებში, კავშირგაბმულობის საკომუნიკაციო სისტემებში ყველგან ძირითადად არაქართველები, უმეტესად სომხები მუშაობდნენ. ეს, ალბათ, მოსკოვის მიერ გარკვეული პოლიტიკური მიზნით იყო გაკეთებულიძ. ემზარ ბერიძემ გადაწყვიტა, ეს მატეოსიანი გადაეყვანა იგივე ხელფასით თავის სახლთან ახლოს, საბჭოს მდივნად: აქ კი მმაჩის უფროსად დაენიშნათ ქართველი კაცი, ვინც ამ საქმეს გულთან ახლოს მიიტანდა და კომპეტენტური იქნებოდა. ასეთი პიროვნება დმანისში იყო ჩემი უახლოესი მეგობარი და, შეიძლება ითქვას, დმანისის რაიონის ნომერ პირველი ინტელიგენტი, პატრიოტი და მოქალაქე შალვა ადუაშვილი, ძალიან განათლებული, ობიექტური პიროვნება. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა დმანისის გაზეთ „თრიალეთის“ პასუხისმგებელ მდივნად, მაგრამ იმხანად რაღაც პირადი უსიამოვნების გამო თავი ჰქონდა დანებებული სამსახურისთვის. ეს კაცი დაინიშნა მმაჩის უფროსად.

შალვამ მიიღო დავალება ემზარ ბერიძისაგან, რომ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც წლების მანძილზე ითხოვდნენ თავიანთი გვარებისა და ეროვნების დაბრუნებას, გაეკეთებინა ეს საქმე. ჩვენ, რა თქმა უნდა, ამ საკითხში გამოცდილება არ გვქონდა, ბევრ იურიდიულ ნიუანსში ვერ ვერკვეოდით. შალვა ადუაშვილმა, როცა მმაჩი ჩაიბარა, ნახა, რომ არის სპეციალური ბლანკები გვარისა და ეროვნების შეცვლის შესახებ, მაგრამ არც ერთმა არ ვიცოდით, რომ თურმე თითოეული ცალი კონტროლზე ყოფილა აყვანილი და მოსკოვიდან დაცვის ქვეშ იგზავნებოდა ყველა რესპუბლიკაში. შალვამ ბლანკები ყველას შეუვსო, ვინც კი განცხადება მოიტანა. მერე ეს ბლანკები მიდიოდა საპასპორტო განყოფილებაში. მილიციის უფროს მიშა მაისურაძესაც სათანადო დავალება ჰქონდა მიცემული, რომ ხელი შეეწყო ამ პროცესისათვის. საპასპორტო განყოფილება ახალ პასპორტებს აძლევდა ამ მოქალაქეებს.

ერთ დღეს, საღამო ხანს ემზართან შევედი. იგი უხასიათოდ დამხვდა. თურმე იუსტიციის სამინისტროდან ჩამოსულა ორი ინსპექტორი მმაჩის საქმიანობის სარევიზიოდ. შალვას მათთვის დაუმალავს გვარებისა და ეროვნების შეცვლის საქმე, მაგრამ ინსპექტორებს აღმოუჩენიათ ბლანკების დანაკლისი და შალვასთვის წაურთმევიათ დავთარი, სადაც გატარებული იყო გვარებისა და ეროვნების შეცვლა, სამინისტროში დაუბარებიათ მეორე დღისათვის, თან დამუქრებიან, რომ დაიჭერდნენ და ციხეში ჩასვამდნენ ამ დანაშაულისათვის. ემზარს ისინი მმაჩის უფროსთან ერთად თავისთან მიუყვანია და უთქვამს მათთვის, რომ ეს მისი დავალებით ხდებოდა. არაფერი გამოსულა და ძალიან მძიმე სიტუაცია შექმნილა. ემზარ ბერიძე, ცოტა არ იყოს შეშინებულიც იყო. ამის გახმაურება დიდ უსიამოვნებას მოუტანდა მასაც და სხვებსაც.

ეს არასასიამოვნო ამბავი იყო, მაგრამ ფარხმალი არ უნდა დაგვეყარა. მაშინვე გადავწყვიტე, როგორ უნდა მოვქცეულიყავი. პირველ რიგში ემზარს ვუთხარი, რომ შალვა ადუაშვილს მარტო არ გავუშვებდი სამინისტროში, მეც მასთან ერთად წავიდოდი და თუ მას დასჯიდნენ, მასთან ერთად ვიქნებოდი მეც. მერე მოვიფიქრე, რომ სამინისტროში სხვა ავტორიტეტული პირებიც წამეყვანა. ამ საქმეში უნდა ჩამერთო ჩვენი ინტელიგენციის, მწერლების, მეცნიერების, ხელოვნების წარმომადგენლები, ცნობილი პიროვნებები, რომელთაც გარკვეული წონა ჰქონდათ საქართველოში. იქვე დავიწყე მოქმედება ემზარის ტელეფონით. ხან ერთთან დავრეკე, ხან – მეორესთან, მაგრამ ივლისი იდგა და ბევრი დასასვენებლად იყო წასული. ბედად, რევაზ ჯაფარიძე, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე „დავიჭირე“ ტელეფონით, ვთხოვე, ხვალისთვის სახლში დამხვედროდა. მან მიპასუხა, ხვალ ონში მივდივარ დასასვენებლად და სამუშაოდო. მე ვთხოვე, აუცილებელი საქმეა, როგორმე უნდა გადადო წასვლა, ხვალ აგიხსნი-მეთქი. მადლობელი ვარ ბატონი რეზოსი, რომ ჩემ მიმართ ასეთი გულისხმიერება გამოიჩინა. მან იგრძნო, რომ რაღაც მნიშვნელოვანი საქმე იყო. სჯეროდა ჩემი. თხოვნა შემისრულა და ონში წასვლა გადადო. მეორე დღეს შალვა ადუაშვილთან ერთად ავტობუსით თბილისში წავედი. რევაზ ჯაფარიძესთან მივედი და ავუხსენი მდგომარეობა. ის, რასაკვირველია, დაგვთანხმდა იუსტიციის სამინისტროში წამოსვლაზე. მერე ვნახეთ ჩვენი ექსპედიციის ხელმძღვანელი ბატონი ვახტანგ ჯაფარიძე. კიდევ ერთ-ორ პიროვნებასთან მივედი, მაგრამ თავი შეიკავეს. მერე წავედი ბატონ მერაბ ბერძენიშვილთან. ბატონმა მერაბმა, როცა მოისმინა, რომ სულ ადრეულად შეფონიშვილთან შევდიოდით (იუსტიციის მაშინდელი მინისტრიძ, ცოტა ეჭვი შეეპარა, რომ რაიმე გამოვიდოდა და საჭირო მიიჩნია უფრო მაღალ ინსტანციებში მისვლა. მე შევპასუხე, სუბორდინაციას ნუ დავარღვევთ, თუ არაფერი გამოვიდა, მერე მივმართოთ ზევით-მეთქი. შევთანხმდით.

**ჯუმბერ კოპალიანი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ანტირეკლამა

# რა აკლია ანაკლიას



მოჭადრაკე ქალთა ეროვნული ჩემპიონატი სასტუმრო „ანაკლიაში“ იმართება. მაინც, რა კრიტერიუმით მიენიჭა უპირატესობა ზღვისპირეთის ამ „ახალ მარგალიტს“? – დაგაინტერესებთ, ალბათ.

როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა განაცხადა, აფხაზეთის სიახლოვეს აღნიშნული ტურნირის მოწყობით საქართველოს ბევრი პოტენციური ტურისტი გაიცნობს, თანაც სამეგრელოში „ბრძენთა თამაშის“ პოპულარიზაციას შეეწყობა თურმე ხელი.

ეჰ, ბატონო ექს-გუბერნატორო (მერე რა, რომ სხვა რეგიონისძ, მაინც რამდენი რამის შეხსენება გჭირდებათ. ჯერ ერთი, სწორედ ზუგდიდის მკვიდრმა, სასახელო მამულიშვილმა და ჭადრაკის დედოფალმა ნონა გაფრინდაშვილმა ნახევარი საუკუნის წინათ გაუთქვა საზღვრებს გარეთ სახელი არამარტო ოდიშს, არამედ სამშობლოს. რაც შეეხება პოპულარიზაციას, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ – ანდრია დადიანის მშობელი კუთხე იყო, არის და იქნება ტალანტთა სამჭედლო. ეს ისე, სხვათა შორის.

გია პლატონიშვილი

კალათბურთი

# ქართული ლეგიონი

**განვლილ უქმეებზე ქართველ ლეგიონერთა კლუბებმა მეტნაკლები წარმატებით ითამაშეს ევროპის ქვეყნების ეროვნულ ჩემპიონატებში.:**

**იტალია. „კანტუ“ – „ბენეტონი“ 75:65.** გამარჯვებულთა ლიდერი მანუჩარ მარკოიშვილი ტრავმის გამო სარბიელზე არ გამოსულა. მისი გუნდი სატურნირო ცხრილში III პოზიციას ინარჩუნებს.

**„ვირტუსი“ – „რომა“ 87:79.** ვიქტორ სანიკიძე ბოლონიელებს 2 ქულით, 8 მოხსნით, 2 ჩაჭრით, 1 დაფარებითა და 2 პასით შეეწია. „ვირტუსი“ IV-VIII ადგილებს ინაწილებს.

**ესპანეთი. „ლაგუნ არო“ – „ტაუგრესი“ 80:83.** ნიკა ცქიტიშვილის 3 მოხსნა მასპინძელთა წარმატებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ბასკები ზედიზედ მესამედ დამარცხდნენ.



ნიკოლოზ ცქიტიშვილი

**„გრან კანარია“ – „გრანადა“ 86:71.** ტორინ გრინი კუნძულელთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო – 10 ქულა, 1 მოხსნა და 1 პასი.

**„ფუენლაბრადა“ – „ხუვენტუდი“ 100:86.** 3 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი – ასეთია ამ უკანასკნელთა უკანახაზელის ქუინტონ ჰოსლის მონაგარი.

„ჯვაროსანთა“ კლუბები სატურნირო ცხრილის შუაგულში იმყოფებიან.

**გერმანია. „ბონი“ – „ჰესენი“ 71:53.** ლაშა გამყრელიძის 2 ქულამ, 3 მოხსნამ და 2 პასმა სტუმრებს ვერ უშველა – „ჰესენი“ ზედიზედ მეთერთმეტე წაგების შემდეგ მე-15 საფეხურამდე დაქვეითდა.

**ბალტიის ლიგა. „როკი“ – „კალევი“ 83:72.** გიორგი ცინცაძემ პარტნიორებს 12 ქულასთან ერთად 2-2 მოხსნა-ჩაჭრა-პასი შეაშველა, ტალინელებს კი ამ მოგებით 4 მარცხის წილ 9 გამარჯვება დაუგროვდათ. მეორეადგილოსანი ესტონელები 15 იანვარს ლიგის პოტენციურ ლიდერს რიგის ვეფ-ს ეწვევიან.

გიორგი შოთაძე

ფეხბურთი

# მოზაიკა

**მოგეხსენებათ, 2022 წელს ყატარი „მუნდიალს“ უმასპინძლებს. მომავალ ფორუმამდე 11 წლით ადრე ნავთობით მდიდარ ამ ქვეყანაში გენერალური რეპეტიცია დაიწყო.**

აზიის თასის გათამაშების სასტარტო შეხვედრებიდან აღსანიშნავია ერთ-ერთი ფავორიტის იაპონიის ნაკრების მიერ იორდანიელებთან დიდი გაჭირვებით მოპოვებული ქულა – 1:1. კიდევ უფრო მსუყე სენსაციისგან ალბერტო ძაკერონის გუნდი მსაჯის მიერ დამატებულ მეორე წუთზე შეტევაში ჩართულმა ცენტრალურმა მცველმა იოშიდამ იხსნა.

სამაგიეროდ, მოულოდნელი შედეგით დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონატების არაერთგზის მონაწილის საუდის არაბეთისა და სირიის ფეხბურთელთა ბრძოლა, რომელიც უკანასკნელებმა ელჰუსეინის „დუბლით“ მოიგეს – 2:1.

**დანარჩენი მატჩების შედეგები:** ყატარი – უზბეკეთი 0:2, ჩინეთი – კუვეიტი 2:0.





**იტალია.** რაც დრო გადის, სულ უფრო მეტი ღრუბლები იყრის თავს „იუვენტუსის“ თავკაცის ლუიჯი დელ ნერის ირგვლივ. ამჯერად „ბებერი ქალბატონი“ სტუმრად „ნაპოლისთან“ შერცხვა – 0:3.

„მილანი“ – „უდინეზე“ 4:4, „სამპდორია“ – „რომა“ 2:1.

**ესპანეთი.** რა აზრი აქვს ტურნირს, რომლის ორი ბობოლაც ყველას ანგრევს? – იბადება კითხვა. მართლაც, „ბარსელონა“ უდანაკარგოდ თამაშობს მეტოქეთა მინდვრებზე, ხოლო „რეალი“ – საკუთარზე.

„დეპორტივო“ – „ბარსელონა“ 0:4, „რეალი“ – „ვილიარეალი“4:2, „ლევანტე“ – „ვალენსია“ 0:1.

**ინგლისი.** უიღბლო აღმოჩნდა „ლივერპულის“ ახალი მწვრთნელის კენი დალგლიშის დებიუტი. მერსისაიდელები ასოციაციის თასის გათამაშების ცენტრალურ დუელში „ოლდ ტრაფორდზე“ დამარცხდნენ „მანჩესტერთან“ – 0:1.

„ჩელსი“ – „იფსვიჩი“ 7:0, „ლესტერი“ – „სიტი“2:2, „ტოტენჰემი“ – „ჩარლტონი“ 3:0, „არსენალი“ – „ლიდსი- 1:1.

ცურვა

# დიდ სპორტში ბრუნდება

**ალბათ ცურვის მოყვარულებს ძალზე გაახარებს ავსტრალიიდან მიღებული ცნობა – დიდ სპორტს უბრუნდება ხუთგზის ოლიმპიური ჩემპიონი იან ტორპი. შეგახსენებთ, რომ ლეგენდარულმა მოცურავემ, 13-გზის მსოფლიო რეკორდსმენმა, 11-გზის მსოფლიო ჩემპიონმა კარიერა 2006 წელს დაამთავრა.**



ახლა კი, როგორც ტორპის მენეჯერი დეივ ფლესკასი აცხადებს, იანი უკვე შეუდგა ვარჯიშს აუზში და დაიწყო მზადება 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის, თუმცა იქამდე გრძელი გზა აქვს გასავლელი. მას აღარ აწუხებს მხრის ძველი ტრავმა. მენეჯერმა ისიც თქვა, რომ ტორპი ყველაფერს აკეთებს ოლიმპიადის ავსტრალიის შესარჩევ ტურნირში მონაწილეობისთვის, ის კი თებერვალში ან მარტში გაიმართება.

ინტერნეტიდან

## ტრაგედია სასტუმროში

**ტრაგედია მოხდა ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში ევროპის თასის ეტაპზე დასავლეთგერმანულ ქალაქ შონახში. შეჯიბრების დროს მოულოდნელად გარდაიცვალა ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა იტალიელი მფრინავი მოთხილამურე სიმონა სენიონერი.**

ის უგონო მდგომარეობაში იპოვეს სასტუმროს ნომერში და ვერტმფრენით გადაიყვანეს ფრაიბურგის საუნივერსიტეტო კლინიკაში, სადაც მისი სიკვდილი დააფიქსირეს, თუმცა მისი სიკვდილის მიზეზი არ დადგენილა.



მის ხსოვნას მიუძღვნეს თავიანთი გამარჯვებები ფრანგმა კოლინ მატელმა, ავსტრიელმა დანიელა ირაშკომ და გერმანელმა მელანი ფაისტმა.

2008 წელს მსოფლიო ახალგაზრდულ ჩემპიონატზე სიმონამ მეათე ადგილი დაიკავა.

## ამპუტაციაზე დათანხმდა

**თუმცა ძნელი გადასაწყვეტი იყო, მაგრამ 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში ილკე ვილუდა მაინც დათანხმდა ფეხის ამპუტაციას, რათა თავისი სიცოცხლე გადაერჩინა.**

ცხრა წლის წინათ, სპორტიდან წასვლის შემდეგ, მან მუხლისა და კანჭის რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა, მარჯვენა ფეხის ნაწილობრივ ამპუტაციაც კი მუხლს ზევით, ბაქტერიული ინფექციის გამო.

„მე არჩევანი მქონდა: დამეკარგა ფეხი ან სიცოცხლე, მე კი ცხოვრება მინდა“! – ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება გერმანელმა ქალბატონმა.



შეგახსენებთ: მიუხედავად ოლიმპიური ოქროსა და გამარჯვებათა რეკორდული სერიისა (ზედიზედ 41 გამარჯვება 1989-1991 წლების პერიოდში) თავის 15-წლიანი კარიერიაში მან ვერ მოახერხა მსოფლიო ჩემპიონად გახდომა, თუმცა იყო ევროპის, კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი, ორი ოქროს მფლობელი მსოფლიო თასზე და ტრიუმფატორი მძლეოსანთა ფედერაციის გრან-პრიზე. მისი პირადი რეკორდია 74,56 მეტრი.

## ჟურნალისტებმა თავი მოაბეზრეს

**ფეხბურთში ამასწინანდელი მსოფლიო ჩემპიონატის სექს-სიმბოლოს ლარისა რიკელმეს ჟურნალისტებმა თავი მოაბეზრეს, ისინი სისტემატურად ავრცელებენ ჭორებს მის შესახებ. ამ დღეებში ლათინოამერიკულ ბულვარულ გაზეთებში დაიბეჭდა ფოტოსურათები – სექსუალური პარაგვაელი ცეკვავს კლუბ „დეპორტივო სანმარტინის“ ფეხბურთელთან – ვალტერ ფრეტესთან, რასაკვირველია, მათ რომანზე, მაშინვე ახმაურდნენ, პარაგვაიში გავრცელდა ხმები, რომ ეს წყვილი ერთად ატარებდა დროს ახალი წლის ღამესაც.**

რიკელმემ, გაზეთებში ეს ცნობა რომ წაიკითხა, განრისხდა და სწრაფად უარყო ის. „ეს ფოტოსურათი ხუთი წლისაა, მე კი არასოდეს მქონია სასიყვარულო ურთიერთობა მარტინთან. მე მხოლოდ მის ცოლთან ვმეგობრობ. ერთ საღამოს კი ერთად ვიცეკვეთ, ახალ წელს კი სხვაგან და სხვა კაცთან შევხვდი“.



ისიც უნდა ითქვას, რომ ფრეტესი მაინც და მაინც ცნობილი ფეხბურთელი არაა, ასე რომ ლამაზმანს არ გაუჭირდებოდა უფრო სახელოვან მოთამაშესთან დაკავშირება. თანაც „პლეიბოის“ ნომერი ყდაზე ლარისას ფოტოთი ბრაზილიაში სარეკორდო რაოდენობით გაიყიდა და მისი თაყვანისმცემელი სუპერსპორტსმენიც ბევრზე ბევრია.

ჩვენი კარაბადინი

# თქვენი სახლის უნივერსალური დაცვა



**მშობლიური სახლი, სადაც თავს გრძნობთ ქვის კედლის მიღმა, მშვიდად და ბედნიერად შეიძლება მალავდეს დიდ, თვალით უხილავ საფრთხეს — ბაქტერიებს. ნაწლავური ჩხირები, სტაფილოკოკები, სალმონელები და სხვადასხვა სოკოს სპორები — ყველა ეს მიკროორგანიზმი არსებობს ქალაქის ყველა ბინაში.**

**საკუთარი თავი და ოჯახი ბაქტერიების გავრცელების საფრთხისგან შეიძლება გადავარჩინოთ, თუ სახლში დავიცავთ სისუფთავეს მაღალეფექტიანი სადეზინფექციო საშუალების დახმარებით. იმისთვის, რომ გავაუვნებლოთ საკუთარი ოჯახი, საჭიროა დავიცვათ რამდენიმე მარტივი წესი.**

### 1. იდეალურად სუფთა სანიტარიული კვანძი თქვენი სახლის უშიშროების საფუძველია

**განსაკუთრებული გულდასმით უნდა მოვახდინოთ სანიტარიული კვანძის დეზინფექცია.** განსაკუთრებული ნესტიანობის გამო აბაზანა და ტუალეტი — იდეალური გარემოა ბაქტერიების, ვირუსებისა და სახიფათო ობის გამრავლებისთვის. უნიტაზში წყლის ჩამოშვების დროს კი თვალისთვის უხილავი მილიონობით ბაქტერია ვრცელდება გარშემო 5 მეტრის მანძილზე! მიკრობიოლოგების მონაცემებით, დღე-ღამის განმავლობაში დაბანის შემდეგ უნიტაზის ზედაპირზე წარმოიქმნება 8 მილიარდამდე ბაქტერია. ამ სახიფათო ზონის — კაფელის, ნიჟარის, აბაზანის და განსაკუთრებით უნიტაზის ზედაპირის ყოველდღიური დეზინფექციით თქვენ თავიდან იცილებთ ბაქტერიების ელვისებრ ზრდას.

### 2. მოულოდნელი საფრთხე: რა არის ჩასაფრებული სამზარეულოში?

**არანაკლებ სახიფათო ზონაა ყველასთვის საყვარელი სამზარეულო.** აქ ბაქტერიები ხვდებიან ნედლ პროდუქტებზე ერთად, ამიტომ თქვენს ძველ საკეპ ფიცარზე შეიძლება აღმოჩნდეს უფრო მეტი პოტენციურად საშიში ბაქტერია, ვიდრე ქუჩის ფეხსაცმელის ძირზე! ყოველდღიური დასუფთავება სადეზინფექციო საშუალებების გამოყენებით დაგეხმარებათ იგრძნოთ თავი დაცულად სახიფათო მიკრობების გავლენისგან.



### 3. ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა?

**პოტენციურად სახიფათო ზონის გულდასმით დასუფთავების გარდა, საჭიროა ყურადღება დავუთმოთ ოთახების, შემოსასვლელის და სახლის სხვა სათავსოების დასუფთავებას კვირაში ერთხელ მაინც.** განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ბავშვების იმ სათამაშოების დეზინფექციას, რომლებითაც ბავშვი ქუჩაში თამაშობს. ასევე აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ოჯახის ცხოველების სისუფთავეს, მათ ხომ შეუძლიათ ქუჩიდან შემოიტანონ უსაშიშროესი ვირუსები და ბაქტერიები.

### 4. ბაქტერიებისა და ვირუსებისგან თავის დაღწევის გასაღები — გამოიყენეთ DOMESTOS

**ეს სადეზინფექციო საშუალება ეფექტიანად ანადგურებს მეცნიერებისთვის ცნობილი მიკრობების ყველა ნაირსახეობას.**

უნივერსალური გელი DOMESTOS შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც გაუხსნელი სახით — უნიტაზის, აბაზანის ან ნიჟარის გასაწმენდად, ისე გახსნილი სახით — იატაკის, კედლების გასაწმენდად, საოჯახო ნივთების გასარეცხად და, რაც მთავარია, საბავშვო სათამაშოების დეზინფექციისთვის. თანაც ეს საშუალება სულაც არაა საშიში ოჯახის წევრებისთვის, ინსტრუქციის ზუსტად დაცვის დროს.

ЗДОРОВЬЕ

ნომრის კარიკატურა



სულთათანა

# ლეგენდად დარჩა

„თუ სიბერე მოდის, თუ ჩამოჰკრა ზარმა...“ — ეს სიმღერა ალბათ, ყველა თბილისელისთვის უსაყვარლეს მელოდიათა ნუსხაშია, მაგრამ ცოტამ თუ იცოდა, რომ მისი ავტორი მიშიკო შენგელია იყო. საკუთარ თავს მუსიკოსად არ მიიჩნევდა, თუმცა ბავშვობაში ვიოლინოზე უკრავდა, ინსტრუმენტზე, რომელსაც მართლაც განსაკუთრებული სმენა სჭირდებოდა. იქნებ ამიტომაც იყო განსაკუთრებული მისი სიმღერა, სიზუსტითა და გასაოცარი იმპროვიზაციით სავსე. ერთხელ თუ მოისმენდი, მთელი ცხოვრება თან გაგყვებოდა, ცალკე თემა იყო მიშიკო შენგელიას იუმორი და გამონათქვამები, უბნიდან უბანს რომ გადაეცემოდა.

მიშიკო შენგელიას ხსოვნას



მიუხედავად იმისა, რომ სუფრასთან მისი სამეგობროს ყოველი შეკრება სალონური კონცერტი იყო, სცენაზე გამოსვლას არასოდეს თანხმდებოდა, თუმცა ვისთან ერთადაც „სიმღერით თქმა“ უყვარდა, ძირითადად პროფესიონალი მომღერლები და მუსიკოსები იყვნენ... მისმა მეგობარმა მაესტრო ჯანსუღ კახიძემ არ დაკარგა მიშიკოს ტალანტი და ფილმისთვისაც კი ჩააწერინა სიმღერა.

სტუდიაში სიმღერას უფრო ადვილად თანხმდებოდა, ათეული წლების წინ ჩაიწერა დღეს უკვე ლეგენდად ქცეული პოპური ზაურ ბოლქვაძესთან ერთად, მაგრამ არც ამან გაათამამა ისე, რომ მაყურებლის წინაშე გამოსულიყო.

ეს ცხოვრებისეული გადაწყვეტილება მიშიკო შენგელიამ ფონდ „იავნანას“ თხოვნით მხოლოდ მზრუნველობამოკლებული ბავშვების დასახმარებლად დაარღვია, როცა შეიტყო, რომ მისი სიმღერის წყალობით სამ მრავალშვილიან ოჯახს თავშესაფარი გაუჩნდებოდა, სრულიად არაორდინარულ საქველმოქმედო კონცერტში „ქალაქური მელოდიები“ მონაწილეობას დათანხმდა. როცა მიშიკოსა და „ქართული ხმების“ უფროსი თაობის ეპიზოდის დრო დგებოდა, წარმოდგენის ყველა მონაწილე კულისებთან იკრიბებოდა, რადგან ამ დროს იმპროვიზაციის ნამდვილი დღესასწაული იწყებოდა, ეს მართლაც ღვთით ბოძებული ნიჭი და ტალანტი იყო, თვითმყოფადი მუსიკოსებისა და მომღერლების მთელი თაობა, რომელთა ხმა და შესრულების მანერა ჩვენს ქალაქს ლეგენდად დარჩა...

პაატა ბურჭულაძის საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს მიშიკო შენგელიას გარდაცვალების გამო, უსამძიმრებს მის ოჯახსა და მეგობრებს და ყველა იმ ადამიანს, ვინც მისი განუმეორებელი კოლორიტისა და სიმღერის თაყვანისცემელი იყო.

წავიდა ჩვენგან კაცი, რომელიც ნამდვილად დააკლდება ქალაქს...

პაატა ბურჭულაძის
საქველმოქმედო ფონდი „იავნანა“

ხსოვნა

# გორდი ვერბეცკი

93 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გორდი ვერბეცკი.

გ. ვერბეცკი დაიბადა ქ. კიევში, ტ. შევჩენკოს სახლ-მუზეუმის მეთვალყურის ოჯახში.

1933 წელს ვერბეცკის ოჯახი გადმოდის საცხოვრებლად ქუთაისში, სადაც 1939 წელს ამთავრებს საშუალო სკოლას. 1942 წელს იგი შედის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში ხიდებისა და გვირაბების ფაკულტეტზე.

1947-1949 წლებში გ.ვერბეცკი, ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მუშაობს მდ. ტეხურაზე გადასასვლელი საავტომობილო ხიდის მშენებლობაზე სამუშაოთა მწარმოებლად. ამავე პერიოდში მუშაობს აგრეთვე ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობის ცენტრალური ბეტონის ლაბორატორაში.

1949-1951 წლებში ბ-ნი გორდი სწავლობს თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში. მისი დამთავრების შემდეგ იწყებს მუშაობას ამავე ინსტიტუტის რკინაბეტონის კონსტრუქციების ლაბორატორიაში უმცროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1954 წელს გ.ვერბეცკიმ დაიცვა დისერტაცია ტექნიკის მეცნერებათა კანდიდატის, ხოლო 1982 წელს ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

1962 წელს ენგურჰესის საკვლევ პოლიგონზე დაბა ჯვართან, გ.ვერბეცკის ხელმძღვანელობით შესრულდა მეტად მნიშვნელოვანი საველე-ექსპერიმენტული სამუშაო.

1969 წელს ბ-ნი გორდი ინიშნება ახლად შექმნილი ჰიდროტექნიკური ნაგებობების რკინაბეტონის კონსტრუქციების ხანგამძლეობის ლაბორატორიის გამგედ.

ბ-ნ გორდის სამეცნიერო მოღვაწეობის დიაპაზონი მეტად მრავალფეროვანია. მან გამოიკვლია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: ბზარების წარმოქმნისა და მათი შემდგომი გახსნის კანონზომიერება ჰიდროტექნიკური ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციებში; ბზარების გახსნის ლიმიტირებული სიდიდეების დადგენა; ფილტრაციული მოვლენების განვითარება ბეტონისა და რკინაბეტონის ჰიდროტექნიკურ ნაგებობებში; ფილტრაციის დასაშვები სიდიდეების დადგენა; ჰიდროტექნიკური ბეტონისა და რკინაბეტონის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების გამოკვლევა და სხვ.

მეტად მნიშვნელოვანია ბ-ნი გორდის მონაწილეობა ჰიდროტექნიკური ნაგებობების ნორმატიული დოკუმენტების შექმნაში. მის მიერ დამუშავებულმა და შემოთავაზებულმა გადაწყვეტებმა განხორციელება ჰპოვა მიწისქვეშა ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოკეთებების სტატიკურ გაანგარიშებებში, ფილტრაციული დანაკარგების დადგენაში.

გ.ვერბეცკის შრომებმა პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა კახოვსკის (უკრაინაძ, გუმათის, ლაჯანურის, ჩირკეის (რუსეთიძ, ენგურის ჰესების მშენებლობისა და გამოკვლევების საქმეში. მას აქტიური მონაწილება აქვს მიღებული ქ.სანკტ-პეტერბურგის წყალდიდობისაგან დამცავი დამბის დაპროექტებასა და გამოკვლევაში.

1966-1985 წლების განმავლობაში გ. ვერბეცკი მონაწილეობდა სოციალისტური ქვეყნების ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს თემატიკის დამუშავებაში ჰიდროტექნიკური ნაგებობების ხაზით.

ბ-ნ გორდის გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი სამეცნიერული ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია. იგი მრავალი სამეცნიერო სიმპოზიუმებისა და კონფერენციების მონაწილეა.

აღსანიშნავია გ. ვერბეცკის ნაყოფიერი პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაცულია საკანდიდატო დისერტაციები. მას ხშირად იწვევდნენ, როგორც ოფიციალურ ოპონენტს დისერტაციების დაცვის დროს.

ბ-ნი გორდი ვერბეცკი წლების განმავლობაში იყო მაღალი კაშხლების საერთაშორისო კომისიის სსრკ ეროვნული კომიტეტისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობების გაანგარიშების საუწყებათაშორისო საკოორდინაციო კომიტეტის წევრი.

საქართველოს ენერგეტიკის აკადემია;
საქართველოს ენერგეტიკისა და ენერგეტიკულ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტი.

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?



● ვლადიმირ ვისოცკი გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა მის პანაშვიდზე მისული ხალხის ყველაზე გრძელი რიგის გამო.

● აშშ-ის პრეზიდენტი აბრაამ ლინკოლნი ახალგაზრდობაში მოჯამაგირედ, ტყისმჭრელად, მიწისმზომელად და ფოსტის მოხელედაც მუშაობდა.

● ფანქრის უზარმაზარი ობელისკი აშშ-ის ქალაქ ვაშინგტონში დგას.

● 1963 წელს მოდელიორმა მერი კუანტმა მოდაში მინიკაბები დაამკვიდრა.

● არქიტექტურულ ანსამბლს, რომლის გამოც მილანის ოპერის თეატრს „ლა სკალა“ უწოდეს, კიბე ჰქვია.

● ცნობილ ჩანჩქერ ნიაგარას კანადის მხარეს ნალის ფორმა აქვს.

● 1904 წელს სახმელეთო ჯარების მეთაურმა, გენერალმა კუროპატკინმა ჯარისკაცებს უბრძანა, გარემოსთან უკეთ შესახამებლად იშვიათად გაერეცხათ ზედა სამოსი, რადგანაც მაშინ ჯარისკაცები თეთრ პერანგებს (რუბაშკი) ატარებდნენ.



● საფრანგეთის იმპერატორმა ნაპოლეონ III-მ მეჯლისისთვის იუველირებს უამრავი ბროში, საყურე და სამაჯური შეუკვეთა, მაგრამ მეჯლისის დროს უეცრად სამკაულებს ბრწყინვალება დაეკარგა. ნახევარი საუკუნის შემდეგ ეს ლითონი, რისგანაც სამკაულები დაამზადეს, კაცობრიობის ერთ-ერთი ყველაზე საჭირო აღმოჩენა გახდა, — ეს იყო ალუმინი.

● 1977-1980 წლებში საბჭოთა კავშირში გამოუშვეს მოსკოვის XII ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილი 150 მანეთის ღირებულების ხუთი სხვადასხვანაირი მონეტა. ისინი პლატინისაგან იყო დამზადებული.

● ყველაზე ხმამაღლა ჩიტივით დაუსტვინა როი ლომასმა ბი-ბი-სის სტუდიაში, 1983 წლის 19 დეკემბერს, ყველაზე შორს კი ვან კრავინდერ კუმარის სტვენა გაისმა. ორივე გინესის რეკორდების წიგნშია შეტანილი.

● ყველაზე პირველი სამოქალაქო გაზეთი რუსეთში „სანქტ-პეტერბურგის უწყებანი“ იყო, რომელსაც 1914 წელს სახელი გადაარქვეს და „პეტროგრადის უწყებანი“ უწოდეს.

● პეტრე პირველის მეფობისას რუსეთსა და შემდგომ მისი გავლენის მქონე ქვეყნებში ევროპიდან შემოვიდა სიტყვა „ინდუსტრია“. მოგვიანებით კარამზინმა ამ სიტყვის ნაცვლად „მრეწველობა“ დაამკვიდრა. სიტყვა „სოსიეტე“ კი ასევე მისმა გამოგონილმა სიტყვამ — „საზოგადოებრიობა“ შეცვალა.

● 1977 წლის 13 ივლისს ნიუ-იორკში 52 წუთით გამოირთო ელექტროენერგია, რის გამოც მატერიალურმა ზარალმა მილიარდი დოლარი შეადგინა.

● მიუნჰაუზენის სინდრომით (მუდმივი ავადმყოფობა) დაავადებულ უილიამ მაიკლ რომის ბრიტანეთის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა 50 წლის განმავლობაში 2,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი დაახარჯა. ამ ხნის განმავლობაში მან 400 ოპერაცია გაიკეთა და 100 საავადმყოფო გამოიცვალა.



● სასმელი „მადერა“ ატლანტის ოკეანეში, ვულკანური წარმოშობის კუნძულ მადეირაზე დაიბადა. მისი ისტორია XVI საუკუნიდან იღებს სათავეს. ლეგენდის თანახმად, პორტუგალიელმა ვაჭარმა ღვინის დიდი პარტია ინდოეთში გაგზავნა გასაყიდად, მაგრამ სანამ გემმა ინდოეთში ჩააღწია, ღვინის შემკვეთი გარდაიცვალა და ღვინო ვაჭარს დაუბრუნეს, ვაჭარმა ღვინო გასინჯა და გაოგნდა, იმდენად გემოშეცვლილი აღმოჩნდა. ეს ნაოსნობის დროს მზეზე გადაცხელების ბრალი იყო. ახალი გემო ყველას მოეწონა და „მადერა“ სწრაფად გაიყიდა.

● ხალხის მასობრივად განკურნებისთვის კაშპიროვსკი მასობრივ ტელესეანსებს ატარებდა, ჩუმაკი კი წყალს მუხტავდა, ხოლო 150 წლის წინათ ფრანც ანტონ მესნერმა, მსოფლიოს ყველა მოგზაურს რომ დახმარებოდა, მთვარე დაამაგნიტა.

დაიჯესტი

# კრემენჩუგელი მაჭანკლის ოინები

**დიდ ბრიტანეთში, წარმოშობით უკრაინელი, კრემენჩუგელი მილიონერის, წარსულში კი ასი პროცენტით სამოსანი მოსწავლის ბიზნესი „საუკუნის აფიორად“ მონათლეს.**

**კრემენჩუგლები, ვინც ვლადიმერ ბუჩაკს ბავშვობიდან იცნობდნენ, გაოცებას იყვნენ: როგორ შეძლო ამ არაფრით გამორჩეულმა ახალგაზრდა კაცმა ნისლიან ალბიონში ამხელა მასშტაბის აფიორის ჯერ მოფიქრება, მერე კი მისი განხორციელება?**



— იგი შაყირის მოყვარული კი იყო, მაგრამ საკუთრივ იუმორის პატრონი არასდროს ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ კრემენჩუგის მფრინავთა კოლეჯში სწავლობდა, მფრინავი მისგან მაინც არ დადგა, — იხსენებს თანაკლასელი.

წარუმატებელი სწავლის თავის დანებების მერე ვოვამ რვა წელი მშობლიურ ქალაქში უსაქმურობაში გაატარა მანამდე, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს ესტონეთიდან ჩასულ ვინმე ლარისას გადაეყრებოდა. ახლადდაქორწინებულები ჯერ ესტონეთში გადასახლდნენ, შემდეგ კი დიდ ბრიტანეთში გადაბარგდნენ, სადაც ვლადიმერ ბუჩაკი კაიდო მაესალოს პასპორტით არალეგალურად მოხვდა. აფერისტი ხუმრობდა: მისი ახალი გვარი უკრაინულად „მას ლორი აქვს“ (მაე სალოძ ნიშნავდა.

ბრიტანეთში ვოვასა და ლარისას ვაჟიშვილი მაქსიმე შეეძინათ. არადა, იძ სიძვირეა, ოჯახის რჩენას სოლიდური ფული სჭირდებოდა, კარგი სამსახურის შოვნის შანსი კი უკრაინელ-ესტონელ „ეკზიუპერის“, პრაქტიკულად არ ჰქონდა, არადა, თან ლამაზი ცხოვრებაც უნდოდა... საკუთარი საქმის წამოწყების იდეაც მაშინ დაებადა და მალე, თავისდა გასაკვირად, დიდი ფულიც იშოვნა.

ბრიტანული გაზეთის „დეილი მეილის“ ცნობით, სწორედ ბუჩაკი დაასახელეს სამეფო სასამართლოს ბრალმდებლებმა იმ ორგანიზაციის თავკაცად, რომელიც მისსავე არალეგალებს შორის ფიქციურ ქორწინებებს აწყობდა. ამ „კანტორაში“ მის გარდა მოღვაწეობდნენ მღვდელი ალექს ბრაუნი და ნიგერიელი იურისტი მაიკლ ადელასოიე, რომელიც ინგლისში სასწრაფოდ ნატურალიზების მსურველ კლიენტებს ეძებდა. ბუჩაკი, თავის მხრივ, იმათი ძებნით იყო დაკავებული, ვინც გასამრჯელოს ფასად თანახმა იყო არალეგალზე, ძირითადად აღმოსავლეთ ევროპიდან ჩასულზე დაქორწინებულიყო: მათ, როგორც ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეებს, ბრიტანეთში ცხოვრებისა და მუშაობის უფლება აქვთ. ქორწინების შემდეგ კი „მეორე“ ნახევრებიც, რომლებსაც ჯვარს სწერდა ჯგუფის მესამე წევრი მღვდელი, ჯიბეში ბრიტანულ პასპორტს იდებდნენ.

ფიქციური ქორწინების მსურველი, რომელიც 15 ათასი გირვანქა სტერლინგი ღირდა, აუარება იყო. 3 ათასს დაქირავებული ნეფე ან პატარძალი იღებდა, 3-3 ათასს — იურისტი და მამაო, დანარჩენი ექვსი ათასი კი უკრაინელ „ბიზნესმენს“ რჩებოდა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2005-09 წლებში მღვდელმა ალექს ბრაუნმა ჯვარი 360 წყვილს დაწერა! ახლადდაქორწინებულები „მეუღლეებს“ ცხოვრებაში მხოლოდ ერთხელ, საკუთარ „ქორწილში“ ხედავდნენ. საბოლოო ანგარიშით, კრემენჩუგელმა ოსტაპ ბენდერმა 2 მილიონი გირვანქა სტერლინგი „იშოვა“, თანამზრახველებმა — თითო-თითო.

ბრიტანელთა განსაკუთრებული გულისწყრომა ყველაზე მეტად პასტორმა გამოიწვია: ყველა სიკეთესთან ერთად აღმოჩნდა, რომ იგი ლოთია, თანაც... ჰომოსექსუალისტი.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7736 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3623 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7429 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.8437 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 — +8 |
| ქუთაისი. | +7 — +14 |
| ბათუმი. | +8 — +14 |
| ზუგდიდი. | +4 — +8 |
| თელავი. | -1 — +9 |

კადრი



ანეკდოტები

— ბერიმორ, როდის ჩაიცვეს პირველად ინგლისელმა მოსამართლეებმა შავი სამოსი?

— დედოფალ ვიქტორიას დაკრძალვის დღიდან, სერ.

— მაგრამ აქამდე რატომ აცვიათ შავი ტანსაცმელი?

— დედოფალი ვიქტორია ხომ დღემდე მკვდარია, სერ!..

* * *



...დღემდე ვერაფრით ვერ მიპატიებია ღალატი ჩემი თხუთმეტივე შეყვარებულიდან ვერც ერთისთვის...

* * *

ურალი რუსეთის ხერხემალია...

სერგიევ პასადის სავაჭრო ცენტრი რუსეთის სულია...

მოსკოვი რუსეთის გულია...

ვინმემ იცის, სად არის რუსეთის ტვინი???

* * *

დაშა გამთენიისას დაბრუნდა სახლში. მას კარებთან მამა შეეგება.

— კვლავ სადღაც დაეთრეოდი, სვამდი, ეწეოდი, არა?

— მამი შური ცუდი თვისებაა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150.
ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.